პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 204 (11208) | ხუთშაბათი, 4 სექტემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა მუშსოფლკორთა მოძრაობისადმი — „პრავდის" 3/IX მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოვს ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე. შ. ბაჯელიძე. — 12 ახალი მოდელის ფეხსაცმელი (1-ლი გვერდი).
ზუგდიდის რაიონის მხატვრული კოლექტივების დასკვნითი საღამო (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში (1-ლი გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. მ. ლორთქიფანიძე. — საქართველოს ისტორიის ახალი დამხმარე სახელმძღვანელო (მე-2 გვერდი).
ჰ. ხვადაძე. — რატომ არ არის ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი? (მე-2 გვერდი).
ვ. გოგიბერიძე. — ბავშვთა გაჯანსაღების კერა (მე-2 გვერდი).
ი. თედიაშვილი. — საოლქო საბჭოს აღმასკომის ანგარიში სესიაზე (მე-2 გვერდი).
მშრომელთა წერილები რედაქციას.
შ. ქურიძე. — დადგა დრო.., ა. ჭირაქაძე. — 8 ათასი ტონა ქვანახშირი გეგმის ზევით, კ. ჯანელიძე. — დამპროექტებლების დაუკვირვებლობის [illegible] წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, [illegible] — კურორტი სულორი ყურადღების ღირსია (მე-2 გვერდი).
დამთავრდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალი (მე-4 გვერდი).
აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალის მონაწილეთა კომუნიკე (მე-4 გვერდი).
ლიონ ფოიხტვანგერის მიმოწერა ქართველ ლიტერატურათმცოდნესთან (მე-4 გვერდი).
უცხოეთისა და სპორტული ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა მუშსოფლკორთა მოძრაობისადმი

საბჭოთა პრესა ახალი ტიპის პრესაა. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა მჭიდრო კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ლენინურ გაზეთებში „ისკრაში", „ვპერიოდში", „პროლეტარში", „ზვეზდაში", „პრავდაში" მუშა კორესპონდენტები მათი მთავარი დასაყრდენი იყვნენ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენი პრესა პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცა მილიონთა ბრძოლის ტრიბუნად, მძლავრ იარაღად კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია სათუთად ინახავს და ყოველი ღონისძიებით ავითარებს ბოლშევიკური პრესის ლენინურ პრინციპებს. სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა პრესის კავშირი მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მასობრივ მოძრაობაში დაიწყო ახალი აღმავლობა.

ჩვენს ქვეყანაში მუშსოფლკორთა რიგები განუწყვეტლივ იზრდება, მათ ემატებათ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელნი, გაიზარდა მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მუშკორებისა და სოფლკორების ცხოვრების მდიდარი გამოცდილება, მათი გაზრდილი კულტურულ-ტექნიკური და პოლიტიკური დონე საშუალებას აძლევს ჩვენს პრესას კვალიფიციურად, ღრმად გააშუქოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საჭირბოროტო საკითხები, გაზარდოს მასებზე პრესის ზემოქმედების ძალა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ წლებში ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა შეასრულეს მუშსოფლკორთა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. მეტ წილ მოკავშირე რესპუბლიკებში, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ბევრ ოლქსა და რაიონში გაიმართა მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობები და თათბირები. მოეწყო გაზეთების „ტრუდის", „კომსომოლსკაია პრავდის", „სოვეტსკაია როსიის", „გუდოკის" ავტორთა აქტივების თათბირები. ქალაქებსა და სოფლებში სულ უფრო ხშირად ეწყობა მუშსოფლკორთა მასობრივი რეიდები, იქმნება მუშკორთა და სოფლკორთა პოსტები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს უბნებზე. მაგნიტოგორსკში, ჩელიაბინსკსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში გაზეთების რედაქციებთან შექმნილია მუშკორთა სკოლები, ეწყობა ავტორთა აქტივის სემინარები.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ დავინახოთ აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებანი მუშსოფლკორთა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ მიღებულ დადგენილებაში „საბჭოთა პრესის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მასობრივი მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ" აღნიშნულია, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი და გაზეთების რედაქციები ჯერ კიდევ ვერ აფასებენ ჯეროვნად მუშა და სოფლის კორესპონდენტთა დიდ საზოგადოებრივ როლს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ცალკეული რედაქციების პრაქტიკაში შესამჩნევია მავნე ტენდენცია აკეთონ გაზეთი, ჟურნალი უმთავრესად თავისი თანამშრომლების ძალებით, მუშა და სოფლის კორესპონდენტებზე დაუყრდნობლად.

პარტიული ორგანიზაციები და გაზეთების რედაქციები მთელ რიგ შემთხვევებში სუსტად იბრძვიან გამოქვეყნებული მასალების, აგრეთვე მშრომელთა იმ წერილების ქმედითობისათვის, რომლებიც იგზავნება სხვადასხვა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ღონისძიებათა მისაღებად, არ იბრძვიან მუშსოფლკორთა მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ჯერ კიდევ არის ჩვენი ცხოვრების პირობებში სამარცხვინო ფაქტები მუშსოფლკორთა დევნისა და შევიწროებისა, ხოლო დამნაშავენი ამასთან, კრიტიკის ჩამხშობნი ხშირად დაუსჯელი რჩებიან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია გაუმჯობესდეს საბჭოთა პრესის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მასობრივი მოძრაობისადმი ხელმძღვანელობა. ეს შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო ავამაღლოთ მისი როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში. ადგილობრივი პარტიული ორგანოების ამოცანაა გააძლიერონ ორგანიზაციულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მუშსოფლკორებთან.

შეძენილი გამოცდილების განსაზოგადოებლად და პრესისა და მუშსოფლკორების მორიგი ამოცანების განსამარტავად საჭიროა პერიოდულად მოვიწვიოთ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული თათბირები. საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რეგულარულად უნდა ეწყობოდეს მუშკორთა და სოფლკორთა კრებები. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში, მსხვილ საწარმოებში უნდა მოეწყოს მუშსოფლკორთა აქტივის სწავლება. ყველაზე აქტიური მუშსოფლკორები, რომლებმაც გამოიჩინეს უნარი ჟურნალისტურ საქმიანობაში, უნდა დავაწინაუროთ მუდმივ სამუშაოზე ადგილობრივი და ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში.

მუშსოფლკორთა მოძრაობის შემდგომ განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებათა და სასწავლებელთა პარტიულ ორგანიზაციებს. მათ დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთების რედაქციებს მკითხველთა კონფერენციების, ავტორთა აქტივის თათბირების მოწყობაში, საზოგადოებრივ დათვალიერებათა, მუშსოფლკორების რეიდებისა და პოსტების ორგანიზაციაში.

კედლისა და ნაბეჭდი მრავალტირაჟიანი გაზეთები მუშსოფლკორთა მასობრივი მოძრაობის დასაყრდენი პუნქტებია. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ძირეული პრესის მუშაობისადმი, ყოველწლიურად მოაწყონ მშრომელთა კრებებზე კედლის გაზეთებისა და მრავალტირაჟიანი გაზეთების სარედაქციო კოლეგიების ანგარიშები და არჩევნები.

მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის წერილები გაზეთისა და ჟურნალის თვითეული ნომრის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ისინი ამდიდრებენ ჩვენი პრესის შინაარსს, მებრძოლს, საქმიანს ხდიან მას. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა გაცილებით მეტი უნდა გამოაქვეყნონ მშრომელთა წერილები. რაც შეეხება მუშსოფლკორთა იმ წერილებს, რომელთა გამოქვეყნება შეუძლებელი ხდება პრესაში, რედაქციები ვალდებული არიან სისტემატურად აცნობონ ამის შესახებ შესაბამის პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს. თავის მხრივ ამ ორგანიზაციებმა პერიოდულად უნდა განიხილონ რედაქტორების ცნობები მიღებული წერილების შესახებ და მიიღონ ამ წერილებზე ქმედითი ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა გადაჭრით გაძლიერდეს ბრძოლა მუშსოფლკორთა წერილებისა და პრესის გამოსვლების ქმედითობისათვის. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა რეგულარულად უნდა მოისმინონ ორგანიზაციებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ცნობები მუშსოფლკორთა გამოსვლებზე მათ მიერ მიღებულ კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ.

ამხილებენ და აკრიტიკებენ რა პრესაში საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებს, მუშსოფლკორები დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებენ. ამიტომ შეუწყნარებელია მუშა და სოფლის კორესპონდენტთა დევნის ფაქტები, რა ფორმითაც უნდა იჩენდნენ ისინი თავს. გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც უნდა მიიღოს პროკურატურამ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა, რომ ამგვარი ფაქტები განიხილონ პარტიულმა ორგანოებმა, ფართო საზოგადოებრიობამ, პრესამ.

მუშსოფლკორთა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკისრება ჟურნალ „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტს". მისი მთავარი ამოცანაა განაზოგადოს პრაქტიკა, გამოცდილება და ყოველმხრივ გააშუქოს მუშსოფლკორთა მოძრაობის შემდგომი განვითარების მომწიფებული საკითხები და ამოცანები. სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა უნდა განაზოგადოს და გაავრცელოს ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მასობრივი მუშაობის გამოცდილება, პრაქტიკულად დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს მუშსოფლკორთა სწავლების მოწყობაში.

მუშსოფლკორთა მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა მძლავრ ძალად. იგი სულ უფრო ფართოდ იზრდება და ვითარდება. მუშსოფლკორები არიან აქტიური საზოგადოებრივი მუშაკები, დაუცხრომელი მებრძოლები ჩვენი პარტიის საქმისათვის, კომუნიზმისათვის. პარტიული ორგანიზაციების, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი და დაუცხრომლად აღზარდონ მუშა და სოფლის კორესპონდენტები, გაუწიონ ყოველდღიური დახმარება მათს დიდ და კეთილშობილურ შრომას.

„პრავდის" 3/IX მოწინავე.

მოსკოვს ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

2 სექტემბერს „ტუ-104" თვითმფრინავით მოსკოვს ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ავიაციის მარშლის მოჰამედ სიდკი მაჰმუდის მეთაურობით. დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებს პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის. (საქდესი).

1958 წლის 5 სექტემბერს საღამოს 7 საათზე შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

საბჭოთა საქართველოს დღე

მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თავი ისახელა კომკავშირულმა რგოლმა (მერგოლეური გ. ხინთიბიძე), რომელმაც 5,27 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში 23 ტონის ნაცვლად უკვე 26 ტონა ფოთოლი მოკრიფა. რგოლის წევრებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით 6 ტონა ნედლეული ჩააბარონ.

შრომაში თავი გამოიჩინა მეათეკლასელმა ვენერა ღლონტმა. მან არდადეგების პერიოდში 2.200 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა, 150 შრომადღე გამოიმუშავა და ავანსად 4.500 მანეთი მიიღო.

ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ მ. ცხომელიძეს, გ. ღლონტს, ც. მახარაძეს და სხვებს. ენერგიული გოგონები დღეში 200-250 კილოგრამ ჩაის ფოთოლს აბარებენ.

სურათზე: კომკავშირული რგოლი ჩაის პლანტაციაში მუშაობის დროს.

ფოტო ა. ხეშიძისა.

12 ახალი მოდელის ფეხსაცმელი

თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები ახალ წარმატებებს აღწევენ მასალების ეკონომიურად ხარჯვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ფაბრიკის კოლექტივმა რვა თვის გეგმა 25 აგვისტოსათვის გაანაღდა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 5 მილიონი მანეთის პროდუქცია, ამასთან შრომის ნაყოფიერება გაზარდა 1,5 პროცენტით. მასალების ეკონომიურად ხარჯვის შედეგად მიღებულია 2.600 ათასი მანეთის ეკონომია.

ფაბრიკის ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები, მემოდელეები გულმოდგინედ შრომობენ 12 ახალი მოდელის ფეხსაცმლის ათვისებისა და გამოშვებისათვის. თბილისის 1.500 წლისთავისათვის ფაბრიკა გამოუშვებს ახალი მოდელის ფეხსაცმელს — „საიუბილეოს" 50 ათასი წყვილის რაოდენობით.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით კარგ წარმატებებს აღწევენ გამომჭრელი ზ. პორფილოვა, ა. ბუგიანიძე, გამჭიმავი ნ. შუშანია, რომლებიც ყოველდღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ანაღდებენ.

შ. ბაჯელიძე.

გორული ხილი

გორი. (საკ. კორ.). რაიონში ფართოდ ჩაღდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეობები ხილის უხვ მოსავალს იღებენ. საქკონსერვტრესტის გორის დამზადების კანტორის მიმღებ პუნქტებს ყოველდღიურად ათობით ტონა ხილი ბარდება. კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოს წელს მიჰყიდეს ასობით ტონა ბალი, გარგარი, ქლიავი, ატამი.

დაიწყო თესლოვანი ხილის საადრეო ჯიშების შერჩევითი კრეფა. დღემდე სახელმწიფომ მიიღო 35 ტონამდე თესლოვანი ხილი.

მაღალხარისხოვანი გორული ხილი იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში — მოსკოვში, ლენინგრადში, სოჭში.

საკოლმეურნეო სამკურნალო აბანო

საჩხერე. (საკ. კორ.). სოფელ სხვიტორში მდინარე ჩიხურის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა შესანიშნავი სამკურნალო წყარო, რომელიც კარგად მოქმედებს სახსრების ქრონიკულ რევმატიზმზე, იშიაზსა და პერიფერიული ნერვების დამბლაზე. აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობამ აქ ააგო ორსართულიანი კაპიტალური შენობა, სადაც გაიხსნა სამკურნალო აბანო. პირველ სართულზე მოწყობილია 19 აბაზანა, ხოლო მეორე სართულზე რვა ოთახი განკუთვნილია დამსვენებელთათვის. აბანო უზრუნველყოფილია ინვენტარით. აქ სამკურნალოდ შორეული სოფლებიდანაც მოდიან.

მთავრდება და ახლო ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა საკოლმეურნეო აბანოები სოფლებში არგვეთში, ჭორვილასა და ჯალაურთაში.

ბეტონის ბოძებისა და მისადგმელების საამქრო

ხაშური. (საკ. კორ.). საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ ქალაქ ხაშურში იმერეთის ქუჩაზე გახსნა ბეტონის ბოძებისა და მისადგმელების დამამზადებელი საამქრო. აქ დამზადებული პროდუქცია შეცვლის ხის ბოძებს და მთლიანად დააკმაყოფილებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მოთხოვნილებას ქართლისა და მესხეთის რაიონებში.

ზუგდიდის რაიონის მხატვრული კოლექტივების დასკვნითი საღამო

დამთავრდა საქართველოს დედაქალაქში ზუგდიდის დრამატული თეატრის გასტროლები. მრავალი მაყურებელი გაეცნო მის დადგმებს — ახალგაზრდა დრამატურგის მ. კიკვაძის ისტორიულ დრამას „დიმიტრი თავდადებულს", ლ. მილორავას მხიარულ კომედიას საქართველოს მაღალი მთის კოლმეურნეობის ცხოვრებიდან „კერპ-ჯიუტას", უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს — რუმინელი დრამატურგის მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავს", ინდოეთის IV საუკუნის პოეზიის კლასიკოსის შუდრაკას „თიხის ეტლის" მოტივების მიხედვით დაწერილ „თეთრ ლოტოსს".

2 სექტემბერს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა ზუგდიდის რაიონის მხატვრული კოლექტივების დასკვნითი საღამო, რომელშიც დრამატული თეატრის მსახიობებს გარდა, მონაწილეობა მიიღეს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა.

საღამოს პირველ განყოფილებაში ნაჩვენები იყო ნაწყვეტები ზუგდიდის დრამატული თეატრის დადგმებიდან — „კერპ-ჯიუტა" და „თეთრი ლოტოსი". მაყურებლებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. როგავა, მსახიობები დ. გოგიჩაიშვილი, რ. თოდუა, შ. მოსია, დ. ყუფარაძე, ო. კობიძე, მ. ბახტაძე და სხვები. დადგმები ეკუთვნით რეჟისორებს ვ. მჭედლიძეს და ა. მაღლაკელიძეს, მხატვრებია — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ყაზბეგი და დ. ჯიჭონაია, მუსიკა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. ნასიძეს.

ზუგდიდის რაიონის მხატვრული კოლექტივების მიღწევათა ჩვენება თავისებური შემოქმედებითი ანგარიში იყო რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე თბილისის 1500 წლისთავის წინ.

იუბილარი ქალაქისადმი მხურვალე მისალმებად გაისმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ გ. კოკელაძის სიმღერა „სალამი თბილისს", რომელიც შეასრულა ზუგდიდის კულტურის რაიონული სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა. კარგად შეასრულა ანსამბლმა ხალხური სიმღერები: „სატრფიალო", „მგზავრული", „ჩელა", „კუჩხა ბედნიერო", სტალინური პრემიის ლაურეატის ო. თაქთაქიშვილის „სამშობლო", რ. ლაღიძის „სიმღერა თბილისზე" და სხვ.

წარმატება ხვდათ წილად ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის სოლისტებს, რომლებმაც ოსტატურად შეასრულეს ცეკვები „განდაგან", „ქართული", „დავლური", ოსური ნარნარი და აფხაზური ცეკვები. საღამოზე გამოვიდნენ აგრეთვე ზუგდიდის მუსიკალური სასწავლებლის ვოკალური ანსამბლი თ. პატარაიას ხელმძღვანელობით, ვოკალური ოქტეტი „შვიდკაცა" და სხვ. დასასრულ დასკვნითი საღამოს ყველა მონაწილემ დიდი აღმავლობით შეასრულა კომპოზიტორ შ. მილორავას „ჰიმნი პარტიას".

კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ს. ღოლიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ი. კუჭავა. (საქდესი).

გულისხმიერად გამოვეხმაუროთ მშრომელთა წერილებს

საბჭოთა ხალხი, რომელიც გარემოსილია მშობლიური პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი მზრუნველობით, წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს. მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განუხრელი აღმავლობის შედეგად ყოველდღიურად იზრდება საბჭოთა ადამიანის როლი ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხების გადაჭრაში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა მასების შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას, პარტია მოითხოვდა და მოითხოვს, რომ პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მასებთან, მხარს უჭერდნენ მათს ინიციატივასა და წინადადებებს, დაუღალავად ზრუნავდნენ მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ყოველდღიურად მშრომელთა მრავალი წერილი შედის. ამ წერილების დიდი უმრავლესობა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხს ეხება. მშრომელები წინადადებებს აყენებენ, თავიანთ აზრს გამოთქვამენ პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის საჭირბოროტო საკითხებზე.

ამასთან შემოსულ წერილებს შორის ცოტა როდია ისეთებიც, სადაც მშრომელები ამხილებენ ნაკლოვანებებს, ბიუროკრატიზმს, მახინჯ მოვლენებს, უსულგულო დამოკიდებულებას მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი და სხვ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა როდია შემთხვევები, როცა მშრომელთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს უსულგულოდ, ბიუროკრატიულად ეკიდებიან. ბევრია საჩივრებისა და განცხადებების ზერელედ და დაგვიანებით განხილვის ფაქტები. ზოგიერთი დაწესებულებისა და უწყების ხელმძღვანელებს, მათს მუშაკებს ავიწყდებათ, რომ ყოველი წერილის, განცხადების ან საჩივრის უკან ადამიანი დგას. მათ ავიწყდებათ პარტიის არაერთგზის მითითება იმის შესახებ, რომ მშრომელთა წერილების ოპერატიულად და ყურადღებით განხილვა ყოველი ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

„კომუნისტის" რედაქციაში ყოველდღიურად მშრომელთა მრავალი წერილი და საჩივარი შემოდის. წერილების ერთი ნაწილი გაზეთში იბეჭდება, ნაწილი კი განსახილველად და ზომების მისაღებად ეგზავნება ადგილობრივ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ბევრ წერილსა და განცხადებაზე რედაქცია სტანდარტულ, არაფრისმთქმელ, ზერელე პასუხს იღებს. ამ პასუხებში ჩანს, რომ ბევრგან დროულად და საქმიანად არ განიხილავენ მშრომელთა წინადადებებსა და სიგნალებს. ისეთი შემთხვევებიც არის, როცა ესა თუ ის ხელმძღვანელი, ბიუროკრატიულად ეკიდება რა მშრომელთა წერილებს, ფარავს ნაკლოვანებებს, ცდილობს შეცდომაში შეგვიყვანოს, მოატყუოს როგორც რედაქცია, ისე წერილის ავტორი.

მაგალითად, ჯერ კიდევ 1956 წელს სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომს რედაქციამ გადაუგზავნა სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს მემანქანის ვ. გუგუშვილის წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ქალაქის დასახლების ერთ-ერთ ქუჩაზე მოსახლეობის საკმაოდ დიდი ჯგუფი წყალსაწრეტი არხის უწესივრობის შედეგად აუტანელ პირობებში ცხოვრობს. რაისაბჭოს აღმასკომმა რედაქციასა და ავტორს იმავე წელს აცნობა ამ საკითხის ახლო მომავალში მოგვარების შესახებ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მიმდინარე წელს მემანქანე გუგუშვილი კვლავ გზავნის წერილს და გვეკითხება, თუ რატომ ატყუებენ მას, რატომ არ ასრულებენ დაპირებას.

ვანის რაიონის სოფელ მუქედის მშრომელებმა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მიმართეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვდნენ სასწრაფო ზომების მიღებას მდინარე ყუმურზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესასრულებლად, რადგან მდინარე წალეკვის საფრთხის წინაშე აყენებდა სოფლის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებსა და ნაგებობებს. ამ საკითხზე მათ წერილი გამოგზავნეს ჩვენი გაზეთის რედაქციაშიც. მიუხედავად არაერთგზის შეხსენებისა, წყალთა მეურნეობის სამინისტრო ამ საქმის მოგვარებაზე არ ფიქრობს, ამომწურავ პასუხს არ უგზავნის რედაქციას, არ ასრულებს დაპირებას, რომელიც მან სოფელ მუქედის მშრომელებს ორი წლის წინათ მისცა.

რედაქციასა და ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებში მშრომელები ბევრ მართებულ და საფუძვლიან საჩივრებსა და განცხადებებს გზავნიან საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ცალკე სამმართველოების, მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, თბილისის კალინინის, ოქტომბრის, გარეუბნის რაისაბჭოების აღმასკომებისა და ზოგიერთი სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ცალკეულ ხელმძღვანელებზე, რომლებიც უყურადღებოდ განიხილავენ წერილებსა და საჩივრებს, დროულად არ უგზავნიან პასუხს მშრომელებსა და რედაქციას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებულ დადგენილებაში „სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში" მკაცრად არის გაკრიტიკებული ისეთი პრაქტიკა, როცა ჯეროვან პოლიტიკურ მნიშვნელობას არ ანიჭებენ წერილებისა და განცხადებების განხილვას.

ამოცანა ის არის, რომ ვამხილოთ და დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ წერილებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ყოველგვარ გამოვლინებას, უნდა მივაღწიოთ, რომ მშრომელთა არცერთი წერილი, განცხადება და საჩივარი არ დარჩეს ყურადღების, საქმიანი გამოხმაურების გარეშე.

მშრომელთა წერილების დროულად და ყურადღებით განხილვა, ხალხის მასების საჭიროებათადმი გულისხმიერი დამოკიდებულება დაწესებულებისა და ორგანიზაციის, მათი მუშაკების პირდაპირი მოვალეობაა.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში

გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს სხდომა. საორგანიზაციო ბიურომ განიხილა მიმდინარე წლის 8 სექტემბერს ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის მოწყობის საკითხი. 8 სექტემბერი ის დღეა, როცა ფაშისტებმა მოკლეს მშვიდობისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის ერთგული და თავდადებული მებრძოლი — ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი იულიუს ფუჩიკი.

8 სექტემბერს მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, საოლქო, სამხარეო ცენტრებში გაიმართება ჟურნალისტთა კრებები მოხსენებებით ჟურნალისტთა ამოცანების შესახებ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, პროგრესულ ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საორგანიზაციო ბიურომ გადაწყვიტა მოაწყოს უახლოეს დღეებში მოკავშირე რესპუბლიკების საორგანიზაციო ბიუროების პასუხისმგებელ მდივანთა თათბირები და ჟურნალისტთა სახლებისა და პრესის კაბინეტების ხელმძღვანელთა სემინარი.

საბჭოთა მშენებლობა

საოლქო საბჭოს აღმასკომის ანგარიში სესიაზე

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მეშვიდე სესიამ მოისმინა საოლქო საბჭოს აღმასკომის ანგარიში. სესიაზე საოლქო საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. თიბილოვი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ფართოდ ჩაებნენ ოლქის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. საბჭოების მიერ გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა თავის ნაყოფს იძლევა სახალხო მეურნეობის ყველა დამწყვეტ უბნებზე. სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოებმა სამეურნეო წლის პირველ ნახევარში 5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები სათავეში უდგანან ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ბრძოლას პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

ადამიანებისათვის ზრუნვა საბჭოთა ორგანოების ყოველდღიურ, სისხლხორცეულ საქმედ გადაიქცა. მარტო წელს ქალაქ სტალინირში საექსპლოატაციოდ გადაეცა 1.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში მონაწილეობენ ხალხის რჩეულნი, აქტივისტები.

საოლქო საბჭოს აღმასკომმა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. ამაღლდა საბჭოების როლი საკოლმეურნეო წარმოებაში.

შარშანდელთან შედარებით წელს საგრძნობლად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ოლქის რამდენიმე კოლმეურნეობამ უკვე გაანაღდა წველადობის წლიური დავალება. გაზაფხულის მინდვრის სამუშაოები აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულდა. პურეულის მოსავალი წელს გაცილებით მეტია შარშანდელთან შედარებით.

სესიაზე დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოების მთელი ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა მიმართულია მასებთან კავშირის განმტკიცებისაკენ. საბჭოების საქმიანობა ეყრდნობა მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას ხელისუფლების ორგანოებში, რასაც საბჭოები თავიანთი მუდმივი კომისიების საშუალებით ახორციელებენ. ამჟამად სამხრეთ ოსეთის ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილ მუდმივ კომისიებში გაერთიანებული 753 დეპუტატი ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მოსახლეობაში. მათ ამ საქმეში ათასობით აქტივისტი ჰყავთ ჩაბმული. მარტო სასოფლო საბჭოების მუდმივმა კომისიებმა მოამზადეს და აღმასკომების სხდომებზე განხილულ იქნა 150-ზე მეტი საკითხი.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა გ. ჯუსოევმა, გ. კაჩმაზოვმა, ს. გაბარაევმა და სხვებმა მოიყვანეს მუდმივი კომისიების კარგი მუშაობის მთელი რიგი მაგალითები. სტალინირის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დიდ დახმარებას უწევენ საბიუჯეტო და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები, რომლებსაც სათავეში უდგანან დეპუტატები ვ. პოკროვსკი და ე. ხეთაგუროვა. საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეობათა ეკონომიკის ზრდის საქმეში თავი გამოიჩინეს ლენინგორის რაიონის კორინთის, სტალინირის რაიონის ქურთის, ზნაურის რაიონის ავნევის სასოფლო საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიებმა.

სესიაზე აღინიშნა აგრეთვე ნაკლოვანებანი საოლქო საბჭოს აღმასკომის, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების მუშაობაში. საბჭოების მოღვაწეობაში ძირითადი ნაკლია მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის არასაკმარი ბრძოლა. მიმდინარე წლის 15 თებერვალს საოლქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ამომრჩეველთა განაწესის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მაგრამ ეს დადგენილება დღემდე არ სრულდება. მთელ რიგ სოფლებში, აგრეთვე ქ. სტალინირში ამომრჩევლებმა მნიშვნელოვანი საკითხები დააყენეს საყოფაცხოვრებო თემებზე, მაგრამ ეს წინადადებანი დღემდე არ განხორციელებულა. საოლქო საბჭოს აღმასკომმა საჭირო ორგანიზაციული მუშაობა არ გასწია ამ მხრივ. სუსტად მუშაობენ საოლქო საბჭოს საგეგმო კომისია და ვაჭრობის განყოფილება. რაისაბჭოს აღმასკომებში, ისევე როგორც თვით საოლქო საბჭოს აღმასკომშიც, არის ცალკეული შემთხვევები, როცა მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებს უსულგულოდ ეკიდებიან.

დეპუტატებმა იმედი გამოთქვეს, რომ საოლქო საბჭოს აღმასკომი საჭირო დასკვნებს გააკეთებს და კიდევ უფრო გააძლიერებს მასობრივ-ორგანიზაციულ მუშაობას მასებში.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



450 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით

თბილწყალმოწყობილობის ქარხნის კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებებით ეგებება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე და თბილისის 1500 წლისთავს. ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ჩაბმული არიან ოქტომბრის სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის 8 თვის დავალება 109 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს.

ქარხანაში დამზადებული წყლის ონკანები, ურდულები, გამტარები, წყალსაზომები და სხვა პროდუქცია დიდი რაოდენობით იგზავნება როგორც სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც. ახლა ქარხანაში გაცხოველებული მუშაობაა წყალსადენის ქუროების დასამზადებლად, რომლებიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში უნდა გაიგზავნოს.

სურათზე: მექანიკური საამქროს უფროსი ვ. როსტიაშვილი (მარჯვნივ) ამოწმებს მოწინავე ხარატის გ. ელბაქიძის მიერ გაჩარხული ქუროების ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეფუტკრეობის ახალი საბჭოთა მეურნეობა

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის რაიონში ბევრია ცაცხვი, აკაცია, წაბლი, რაც მეფუტკრეობის განვითარების საუკეთესო ბაზას წარმოადგენს. ბევრ სოფელში მისდევენ მეფუტკრეობას და თაფლის დიდ შემოსავალსაც იღებენ.

აქ მოშენებულია მთის რუხი ფუტკარი, რომელიც ხასიათდება გრძელი ხორთუმით, რაც პროდუქტიულობის ზრდას უწყობს ხელს. ამ ჯიშის ფუტკრის გავრცელება სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს. ამ მიზნით რაიონში წელს შეიქმნა ქართული ფუტკრის სახელმწიფო საჯიშე საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ზემოთ დასახელებულ ჯიშის დედა-ფუტკარს მიაწვდის არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის რაიონებს, არამედ მოძმე რესპუბლიკებსაც.

ახალი საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ვ. ტაბატაძე) უკვე შეუდგა მუშაობას. აქ 233 ძირკვს უვლიან.

ჯილდო კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა წარმატებით მშენებლობისათვის

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ჯუმათის ი. ბ. სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში წარმატებით ხორციელდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის სამწლიანი გეგმა.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის ჯუმათელ მშრომელებს ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გადაეცათ პარტიის მახარაძის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

რატომ არ არის ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი

მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი ახალციხური ხილი, ბოსტნეული და კარტოფილი. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამ კულტურების უხვი მოსავალი მოჰყავთ. მაგრამ, სამწუხაროდ, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობისა და დაუდევრობის გამო დღემდე მოუგვარებელია ქალაქ ახალციხისა და მეშახტეთა დაბა ვალეს მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საქმე.

ახალციხელ მეშახტეთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველოს ახალციხის განყოფილების მუშაკთა არაოპერატიული მუშაობა. ამ სავაჭრო ორგანიზაციამ (უფროსი გ. გომართელი) წელს უნდა შემოზიდოს 100 ტონა ბოსტნეული, 30 აგვისტოსათვის კი შემოზიდული იყო მხოლოდ 9 ტონა. სავაჭრო ქსელში არც ერთი კილოგრამი მწვანილი, ჭარხალი, ბადრიჯანი და სტაფილო არ შემოუზიდავთ. მეშახტის დღისათვის თითქოს დიდი „მზადება" იგრძნობოდა ხილბოსტნეულის მაღაზიში, 30 აგვისტოს კი აქ მხოლოდ დაუმწიფებელი პამიდორი, ნახევრადდამპალი კომბოსტო, უხარისხო კიტრი, კარტოფილი და კიტრის მწნილი აღმოჩნდა. სამაგიეროდ მაღაზიის გამგე-გამყიდველი ე. კაზახიანი ხალისით ვაჭრობდა მაგარი სასმელებით.

კარტოფილითა და ხილბოსტნეულით ქალაქ ახალციხის მშრომელთა მომარაგების საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდება აგრეთვე საქვაჭრობის ახალციხის განყოფილება (მმართველი გ. ჩეჩელაშვილი), რომელმაც 30 აგვისტომდე წლიური გეგმით გათვალისწინებული 100 ტონის ნაცვლად 1[illegible] ტონა კარტოფილი და 150 ტონის ნაცვლად 12 ტონა ბოსტნეული შემოზიდა.

უკეთესი მდგომარეობა არც ახალციხის რაიკოოპკავშირის საგარეუბნო სოფლის კოოპერატივის სავაჭრო ქსელშია (გამგეობის თავმჯდომარე გ. თვალაბეიშვილი). ამ სისტემის საკომისიო კიოსკში (გამგე-გამყიდველი ა. სევიდიანი) 30 აგვისტოს ჰყიდიდნენ ნახევრადდამპალ მსხალს, არასტანდარტულ ვაშლს, არ ჰქონდათ კარტოფილი, პამიდორი, კიტრი, კომბოსტო, ხახვი, მწვანილი და სხვ.

სერიოზული ნაკლოვანებებია ახალციხის დამზადების რაიონული კანტორის მუშაობაში. იგი ვერ უზრუნველყოფს დამზადებული ხილისა და ბოსტნეულის დროულად გადაზიდვას. დამამზადებელ ბაზაში ზოგჯერ პროდუქცია ისეთი ასორტიმენტია, რომელზედაც ნაკლები მოთხოვნილებაა.

დროა ახალციხის რაიონის ხელმძღვანელობამ სათანადო ზომები მიიღოს ხილით, ბოსტნეულითა და კარტოფილით მეშახტეთა და მოსახლეობის მოსამარაგებლად.

ჰ. ხვადაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

შენდება საზაფხულო კინოთეატრი

ვანი. (საკ. კორ.). ამას წინათ რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელს შეემატა ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელშიც მოთავსდა რაიონული ბიბლიოთეკა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

რაიონის ცენტრში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს 300-ადგილიანი საზაფხულო კინოთეატრის მშენებლობა, რომელიც სექტემბერში დამთავრდება.



ბორჯომ-პარკში ამას წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა საზაფხულო კინოთეატრი 550 მაყურებლისათვის.
სურათზე: საზაფხულო კინოთეატრი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საქართველოს კურორტებზე

ბავშვთა გაჯანსაღების კერა

სურამი ბავშვთა დასვენებისა და გაჯანსაღების საუკეთესო კერას წარმოადგენს. 20 წელზე მეტია რაც არსებობს ბავშვთა № 1 სანატორიუმი. აქ ისვენებენ და მკურნალობენ ბრონქიტით, პლევრიტით, ნერვული სისტემით, მეორადი ანემიით დაავადებული ბავშვები.

სანატორიუმი ყოველწლიურად 700-მდე ბავშვს ემსახურება. სანატორიუმში ჯანმრთელობას იკაჟებენ როგორც საქართველოს, ისე სხვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა ბავშვები. სანატორიუმის მომსახურე პერსონალის მშობლიური მზრუნველობის შედეგად ნორჩთა მკურნალობისა და დასვენების ყველა პირობა აქვს შექმნილი.

ბავშვთა ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ერთგულად ემსახურებიან პედიატრი მ. ვარსიმაშვილი, სტომატოლოგი მ. კუკულაძე, რენტგენოლოგი ვ. მაღლაკელიძე და სხვ.

მკურნალობასა და დასვენებასთან ერთად ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან კულტურული გართობით. მათთვის შექმნილია ლიტერატურის, ისტორიის, მხარეთმცოდნეობის და მათემატიკის წრეები. წრეებში გაერთიანებულ ბავშვებს მონდომებით ამეცადინებენ მასწავლებლები ნ. ცუცქირიძე, ე. ამირგველაშვილი და სხვ. სანატორიუმს აქვს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, ჩოგბურთის მაგიდა. ყოველდღიურად ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება.

ყოველწლიურად სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება სანატორიუმის შენობა. შარშან კაპიტალური რემონტი გაუკეთდა მთავარ საძინებელ კორპუსს, აბანოს, სამზარეულოს, სამრეცხაოს, რენტგენის კაბინეტს. სანატორიუმში მოეწყო მოსაცდელი ოთახი მშობლებისათვის და იზოლატორი.

ვ. გოგიბერიძე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საქართველოს ისტორიის ახალი დამხმარე სახელმძღვანელო

ქართველი საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას იჩენს საქართველოს ისტორიის ამსახველი შრომებისადმი. ამით აიხსნება ის დიდი გამოხმაურება, რომელიც თავის დროზე ჰპოვა „საქართველოს ისტორიის" პირველმა სახელმძღვანელომ ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ავტორობით. ეს წიგნი პირველად 1941 წელს გამოვიდა. 1941 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო ჩვენი ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეს ასახავდა. ამ წიგნმა გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

მაგრამ „საქართველოს ისტორიის" პირველი სახელმძღვანელოს შექმნის შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ ხნის განმავლობაში წინ წავიდა. საქართველოს ისტორიისა და მისი დამხმარე თუ მომიჯნავე დარგების სხვადასხვა სფეროებში მომუშავე მრავალრიცხოვანი კოლექტივის მიერ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბევრი ახალი ფაქტია დადგენილი, მთელი რიგი საკითხები ახლებურად არის დასმული. და გასაგებია, რომ საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო დღეს სათანადოდ ვეღარ უპასუხებს ჩვენი სამეცნიერო და ფართო მკითხველი საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნილებას. თავისთავად წარმოიშვა ისეთი ახალი სახელმძღვანელოს შექმნის გადაუდებელი აუცილებლობა, რომელშიც შეძლებისამებრ აისახებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყველა უკანასკნელი მიღწევა. ახალ სახელმძღვანელოზე მომუშავე კოლექტივის წინაშე დიდი და საპატიო ამოცანა იდგა — შეექმნა თანამედროვე ისტორიული მეცნიერების დონის შესაფერისი წიგნი. წიგნზე მომუშავე ავტორებმა ეს რთული ამოცანა ძირითადად წარმატებით დაძლიეს.

„საქართველოს ისტორიის" ახალი დამხმარე სახელმძღვანელო კოლექტიურ ნაშრომს წარმოადგენს. მასში განზოგადებულია ქართული ისტორიოგრაფიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და სხვა დარგების მუშაკთა მიღწევები უკანასკნელი წლების მანძილზე. ის მოამზადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის წევრთა მონაწილეობით. წიგნში ჩართულია ზოგიერთი პარაგრაფი აკადემიკოს ს. ჯანაშიას რედაქციით გამოსული სახელმძღვანელოს იმ ნაწილებიდან, რომელთა ავტორები არიან აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი (იხ. „საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს" თავი XII, § 2) და აკადემიკოსი ს. ჯანაშია (იხ. თ. VI, § 1-2, თ. VII, § 1-4, თ. VIII, § 1-2, 4-5).

„საქართველოს ისტორიის" ახალი დამხმარე სახელმძღვანელო მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს არის პირველი წიგნი, რომელშიც მოცემულია ჩვენი ქვეყნის მთლიანი ისტორია ახალ ეპოქამდე.

„საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელოზე მომუშავე კოლექტივმა წარმატებით დაძლია ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ურთულესი საკითხი, სახელდობრ ჩვენი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი. ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის პირველი და საკმაოდ წარმატებითი ცდა გვაქვს „საქართველოს ისტორიის" ძველ სახელმძღვანელოში. მაგრამ მაშინ საქართველოს ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის მხოლოდ ზოგიერთი ძირითადი საფეხური დაისახა. ამ წიგნში, პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, საქართველოს მთლიანი ისტორია მარქსისტული პერიოდიზაციის საფუძველზეა მოცემული. წიგნში საქართველოს ისტორიული განვითარება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური ფორმაციების მონაცვლების მიხედვით არის განხილული. წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული ახალი პერიოდიზაციის საფუძველზეა გამართული, ახლებურად არის გაშუქებული ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საკითხი, სახელდობრ ის საშინაო თუ საგარეო ხასიათის მოვლენები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოში ფეოდალიზმის და, კერძოდ, განვითარებული ფეოდალიზმის ხანის თავისებური განვითარება და გახანგრძლივება XIX საუკუნემდე. ახლებურად არის დასმული ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალიზმის ჩასახვის საკითხი და სხვ.

„საქართველოს ისტორიის" ახალი სახელმძღვანელო ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი წიგნია, რომელშიც საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური განვითარების საფუძვლად ქვეყნის ეკონომიური განვითარებაა აღებული. წიგნში განხილულია ძირითადი საწარმოო საშუალებების, წარმოების იარაღების განვითარება პირველყოფილი პრიმიტიული თოხიდან ფეოდალიზმის ხანის დიდ გუთნამდე და კაპიტალიზმის ეპოქის მანქანებამდე. განხილულია მეურნეობის ცალკეული დარგების, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების მნიშვნელობა ქვეყნის შემდგომ დაწინაურებაში, მემინდვრეობისა და მევენახეობის როლი ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას და სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

განსახილველი წიგნის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ მასში მთავარი ადგილი მწარმოებელი საზოგადოების ისტორიას ეთმობა. ისტორიული პროცესის განვითარება ძირითადი მწარმოებელი კლასის, გლეხთა ფენის ჩამოყალიბების პროცესს მიჰყვება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ყურადღების გამახვილება კლასობრივი ბრძოლის საკითხზე. ეს წიგნი თავიდან ბოლომდე კლასობრივი ბრძოლის პრინციპზეა აგებული. გლეხებისა და ფეოდალების ურთიერთდამოკიდებულება, ფეოდალურ ვალდებულებათა დამძიმება, ბრძოლა ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის თუ ფეოდალური საქართველოს დაშლა, ცალკეული საზოგადოებრივი ფენების ურთიერთობა გარეშე სამყაროსთან — ყველა ეს საკითხი კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით არის გაშუქებული. საქართველოს ისტორიის ძირითადი ხაზი ქვეყნის განვითარების, მისი მამოძრავებელი პროგრესული ძალების წინწამოწევის თვალსაზრისით არის გამართული. ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლა (მეფის სახით) დიდგვაროვან ფეოდალთა ქვეყნისდამშლელი მოქმედების წინააღმდეგ. მაგალითად, მეფე ბაგრატ IV-ის ხანგრძლივი ბრძოლა ლიპარიტ ბაღვაშთან, დავით აღმაშენებლის ბრძოლა ბაღვაშებთან თუ სხვა დიდ ფეოდალურ საგვარეულოებთან. გათვალისწინებულია ორივე მებრძოლი მხარის ინტერესები და მისწრაფებები.

საკითხის ამგვარად დაყენებას შედეგად ახლებური შეფასება მიეცა XIII ს. დასასრულის საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს, ბატონყმობის საბოლოო გამარჯვებას. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობას ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პროცესში და გლეხთა მასობრივ ბრძოლებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით არის განხილული ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა XIX საუკუნის დასასრულის საქართველოს ისტორიაში, როგორიც არის საზოგადოების ახალი მამოძრავებელი ძალის, სამრეწველო პროლეტარიატის ჩასახვა-ჩამოყალიბების საკითხი.

განსახილველი წიგნის უდავო ღირსებად მიგვაჩნია ავტორების მიერ ყურადღების გამახვილება სოციალური ისტორიის საკითხებზე, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ფენების ჩამოყალიბების საკითხებზე.

ჩვენი აზრით, მართებულია ფეოდალური კლასის შიგნით სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის არსებული წინააღმდეგობით და საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესების შეჯახებით ახსნა ისეთი რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნების მოღვაწეობისა, როგორიც იყო დიდი მოღვაწე გიორგი სააკაძე. საკუთარი საზოგადოებრივი ფენის და ზოგჯერ პიროვნული ინტერესიც იჩენს თავს გიორგი სააკაძის მოღვაწეობაში, მაგრამ, ვფიქრობთ, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ დიდი მნიშვნელობის ფაქტს, რომ გ. სააკაძის ხელმძღვანელობით გადახდილმა „მარტყოფისა და მარაბდის ომებმა აღმოსავლეთ საქართველო იხსნა შაჰის მძიმე განაჩენისაგან — ქვეყნის გადაშენებისა და აქ ყიზილბაშური სახანოების შექმნისაგან" (გვ. 297—298).

ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თავის ახლო თუ შორეულ მეზობლებთან. ეს ურთიერთობა ურთიერთ მეგობრობასა თუ მტრობაში, ომსა და სამხედრო თუ კულტურულ თანამშრომლობაში გამოიხატებოდა. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის ურთიერთობის საკითხს. მითითებულია ჩვენი წინაპრების მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაზე სამხრეთის კულტურულ ქვეყნებთან, მოყვანილია საერთო მტრის წინააღმდეგ ქართველი და სომეხი ხალხების ერთობლივი ბრძოლის ფაქტები, გაშუქებულია საქართველოს დიდი ეკონომიური და კულტურული როლი კავკასიის მთიელების ხალხების ისტორიაში, კულტურული ურთიერთობა ბიზანტიასთან და სხვ. წიგნში გატარებულია თავის მეზობლებთან ქართველი ხალხის ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობის იდეა. ქართველი ხალხის ისტორია ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობის ფონზეა გაშლილი. სათანადო ადგილი უკავია რუსეთის ისტორიის განხილვას. შეფასებულია როგორც რუსეთის დიდი მნიშვნელობა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ხალხების შემდგომი ისტორიისათვის, ასევე რუსეთის ინტერესები საკუთრივ საქართველოში და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში.

„საქართველოს ისტორიის" ახალი დამხმარე სახელმძღვანელო მკითხველს უქმნის მთლიან წარმოდგენას ჩვენი ხალხის და ქვეყნის დიდ ისტორიულ წარსულზე, მასში მოკლედ და შემჭიდროებულად გადმოცემულია საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები. ასეთ ვითარებაში სასურველია უფრო ვრცლად იყოს წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს ისტორია.

როგორც აღვნიშნეთ, „საქართველოს ისტორიის" ახალ დამხმარე სახელმძღვანელოში დიდი ადგილი ეთმობა მეზობლებთან ქართველი ხალხის ურთიერთობის საკითხს. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, სასურველი იყო უფრო ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობა, აგრეთვე ქართველების კულტურული ურთიერთობა არაბებთან და აღმოსავლეთის სხვა კულტურულ ხალხებთან.

წიგნის ერთ-ერთ უტყუარ ღირსებას წარმოადგენს სოციალური ისტორიის ძირითადი საკითხების წინ წამოწევა. აღნიშნულ ვითარებაში მკითხველს განსაკუთრებით ეცემა თვალში ის გარემოება, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით არაფერი არ არის ნათქვამი ქრისტიანული რელიგიის კლასობრივ ხასიათზე, არ არის აღნიშნული საზოგადოების რომელი ფენის ინტერესს ემსახურებოდა V ს. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.

„საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელო ისტორიულ პროცესს ეკონომიური განვითარების საფუძველზე განიხილავს. ამა თუ იმ სოციალური ხასიათის ცვლილების აღნიშვნის დროს მითითებულია ამ მოვლენის ეკონომიური საფუძველი. მაგალითად, ჩვენს წინაპარ ტომებში მატრიარქატიდან პატრიარქატის საფეხურზე გადასვლასთან დაკავშირებით აღნიშნულია ამ პროცესში მესაქონლეობისა და მეტალურგიის განვითარების როლი. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რა როლი შეასრულა გვარში მამაკაცის გაპირველების საქმეში გუთნურ მიწათმოქმედებაზე გადასვლამ. (გვ. 9). აზნაურთა სოციალური ფენის დაშლისა და [illegible] ფენის გამოყოფასთან დაკავშირებით სასურველი იყო ამ მოვლენის ეკონომიური საფუძვლის აღნიშვნა.

„საქართველოს ისტორიის" ახალ დამხმარე სახელმძღვანელოს, როგორც საქართველოს ისტორიის ერთდროულ მთლიანი კურსის მიმართ, ჩვენი სურვილები და მოთხოვნილებები დიდია. წიგნი, რასაკვირველია, არ შეიძლება იყოს [illegible] ცალკეული ხარვეზებისაგან. მაგალითად, „დიდი ომი" ეგრისში უნდა იყოს დათარიღებული 542-562 წლებით და არა 542-555 წლებით (გვ. 100). მაგრამ აღნიშნული და სხვა ხარვეზები ჩრდილს ვერ მიაყენებს წიგნის საერთო ღირსებას.

„საქართველოს ისტორიის" ახალი დამხმარე სახელმძღვანელო ჩვენი ისტორიული მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისი წიგნია. მასში ძირითადად ასახულია ქართული ისტორიული მეცნიერებისა და მისი მომიჯნავე დარგების უკანასკნელი წლების მიღწევები. წიგნი მთლიანად კარგად იკითხება და მის[illegible] ღირსია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. სასურველია მისი რუსულ ენაზე გადათარგმნა, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მეცნიერო საზოგადოებრიობისათვის.

ავტორთა კოლექტივის მიერ ძირითადად ამ წიგნის საფუძველზე შედგენილი შედარებით მცირე მოცულობის სახელმძღვანელო საშუალო სკოლისათვის. „საქართველოს ისტორიის" ახალი სახელმძღვანელო საშუალო სკოლისათვის დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებას.

მ. ლორთქიფანიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი „საქართველოს ისტორია". უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე. დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა წერილები რედაქციას

დადგა დრო...

საყოველთაოდ ცნობილია ქართული კულტურის უდიდესი წარმატებანი. ბევრი ქართველი მეცნიერის ნაშრომებს ცოდნის სულ სხვადასხვა დარგში ახლა სისტემატურად თარგმნიან არა მარტო სსრ კავშირის, არამედ საზღვარგარეთის ხალხთა ენებზეც. დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ჩვენი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები, ხოლო ქართული ხელოვნების წარმომადგენლები ყველგან, სადაც კი გამოდიან, წარუშლელ კვალს ტოვებენ მაყურებელთა მეხსიერებაში.

ქართული კულტურის მზარდი პოპულარობა და წარმატებანი მოწმობს, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით ჩვენს რესპუბლიკაში აღიზარდნენ მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრები და დადგა დრო, როდესაც დღის წესრიგში უნდა დაისვას ქართული ენციკლოპედიის გამოცემის საკითხი. თუ ამ დიდმნიშვნელოვან, საშვილიშვილო საქმეს მონდომებით მოჰკიდებს ხელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სავსებით უეჭველია, რომ უახლოეს წლებში ჩვენ გვექნება მეცნიერების თანამედროვე დონეზე მდგომი ქართული ენციკლოპედია. ეს იქნებოდა ძვირფასი საჩუქარი, დიდი წვლილი მშობლიური კულტურის განვითარებაში.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის მოგვარებასაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის შემდგომი წინსვლისათვის. მხედველობაში გვაქვს მთარგმნელობითი მუშაობის მოწესრიგება. მოსახლეობის საერთო კულტურის დონის ამაღლებასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება ინტერესი როგორც რუსული და სსრ კავშირის სხვა ხალხთა, ისე უცხოური ლიტერატურისადმი. მართალია, ამ მხრივ ჩვენმა გამომცემლობებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, სრულიად არ არის საკმარისი. მთარგმნელობითი საქმიანობის მთავარი ნაკლი ახლა ის არის, რომ მასში აქტიურად აღარ მონაწილეობენ მოწინავე ქართველი მწერლები და ამ საკითხში არ იგრძნობა საჭირო ორგანიზებულობა.

ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. საქართველოს მწერალთა კავშირმა ძირითად გამომცემლობებთან ერთად უნდა ითავოს მდგომარეობის გამოსწორება, შეადგინოს სათარგმნ ნაწარმოებთა პერსპექტიული გეგმა, ამ საქმეში აქტიურად ჩააბას მაღალკვალიფიციური მთარგმნელები, რათა უახლოეს წლებში ქართულ ენაზე გვქონდეს მთელი რიგი გამოჩენილი მწერლების არა თითო-ოროლა ნაწარმოები, როგორც დღეს არის, არამედ თხზულებათა რჩეული და სრული კრებულები.

ვფიქრობ, არავითარი განმარტება არ ესაჭიროება ორივე ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტის უდიდეს მნიშვნელობას.

შ. ძურიძე,
ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის" რედაქტორი.

მოვაწყოთ ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი თამარაშენში

ქართველ კლასიკოს მწერალთა შორის ივანე მაჩაბელს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის. ფასდაუდებელია ივანე მაჩაბლის ღვაწლი როგორც ჩვენთვის, ასევე ჩვენი მომავალი თაობებისათვის. ამ უკანასკნელად ხშირად გამოთქვამენ სურვილს, რომ დაარსებულ იქნას შექსპირის შემოქმედების „უბადლო მთარგმნელის სახლ-მუზეუმი. ეს დროული და სამართლიანი მოთხოვნა არა მარტო მხარდასაჭერია, არამედ უეჭველად მისასალმებელიც.

ივანე მაჩაბლის ნამუშევრების ამსახველი საარქივო მასალები დაცულია როგორც საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ, ისე თეატრალურ მუზეუმებში. ამასთანავე ყველასათვის ცნობილია, რომ სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენში სრულიად, სახეუცვლელი დგას სახლი, რომელშიც იზრდებოდა პატარა ვანო. ამავე სახლში ეწეოდა იგი შემოქმედებითს მუშაობას.

კარგი იქნება, თუ ივანე მაჩაბლის მოღვაწეობის ამსახველი საარქივო მასალები თავმოყრილ და გადატანილ იქნება სოფელ თამარაშენში ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის მოწყობის მიზნით.

ვ. ნამშურიძე,
ა. გიუნაშვილი.

დამპროექტებლების დაუკვირვებლობის მიზეზით...

ვარ მშენებელი. ვმუშაობ მეშახტეთა ქალაქის — ტყიბულის ახალმშენებლობებზე. მე და ჩემს კოლეგებს დიდი პრეტენზიები გვაქვს დამპროექტებლებისადმი. ზოგჯერ ისინი ნაჩქარევად და დაუკვირვებლად აპროექტებენ ახალმშენებლობებს, რაც სახელმწიფო ფულის განიავებას, დროის ფლანგვას, უნაყოფო შრომას იწვევს.



მოვიყვან ფაქტებს: ამ რამდენიმე ხნის წინათ საპროექტო ორგანიზაციამ „საქგიპროშახტმა" შეადგინა ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ადმინისტრაციულ - საყოფაცხოვრებო კომბინატის რეკონსტრუქციისა და მინაშენის პროექტი, ეს პროექტი მოიწონა და მიიღო ტყიბულქვანახშირის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ. ჩვენ, მშენებლები, შევუდექით პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას, გავჭერით ორი მეტრის სიღრმის ტრანშეები საძირკვლისათვის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამშენებლო ტერიტორია თურმე დაკავებული ყოფილა სხვადასხვა სახის მიწისქვეშა კომუნიკაციებით. საჭირო გახდა მშენებლობის შეჩერება და პროექტის მთლიანად შეცვლა. ეს მშენებლებს ძვირად დაგვიჯდა. ფუჭად ჩაიარა დიდმა შრომამ, უმიზნოდ დაიხარჯა თანხები. ასე არ მოხდებოდა, დამპროექტებლები სერიოზულად რომ მოჰკიდებოდნენ საქმეს და პროექტი ადგილმდებარეობის თავისებურებათა გათვალისწინებით შეედგინათ.

ანალოგიური მდგომარეობაა ლენინის სახელობის შახტის ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატის მინაშენის მშენებლობაზეც. ეს მშენებლობა წლების განმავლობაში ჭიანურდება, რადგან ხშირად იცვლება მშენებლობის პროექტი. ეს იმის შედეგია, რომ დამპროექტებლები თავის დროზე მხედველობაში არ იღებენ ადგილმდებარეობის თავისებურებას. მშენებლებმა 7 მეტრის სიღრმის ქვაბულები ამოვჭერით, მათში ბეტონიც ჩავასხით, მაგრამ ახლა საჭირო გახდა პროექტის შეცვლა.

ყოველივე ამაში ბრალი მიუძღვით არა მარტო დამპროექტებლებს, არამედ ჩვენს ხელმძღვანელებსაც, ვინაიდან ისინი ხელაღებით იღებენ პროექტებს.

ა. ჯანელიძე,
ტყიბულქვანახშირის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადის ბრიგადირი.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

მშრომელთა ზოგადი განათლების დონის ასამაღლებლად 1956 წელს თბილისში დაარსდა რესპუბლიკური ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი საშუალო სკოლა. სკოლას აქვს ყველა საჭირო სასწავლო კაბინეტი და დაკომპლექტებულია კვალიფიციური მასწავლებლებით. იმათ შორის, ვინც წელს წარმატებით დაამთავრა რესპუბლიკური ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი საშუალო სკოლა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ და მიიღო სიმწიფის ატესტატი, არის ამიერკავკასიის მაგისტრალის 15 რკინიგზელი: თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანის თანაშემწე ლ. მენაბდე, ამავე დეპოს მემანქანეები შ. სურმავა და გ. ნანიტაშვილი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე გ. კასრაძე, სადგურ ნავთლუღის სავაგონო უბნის ზეინკალი-მეავტომატე ვ. აგეკიანი, თბილისის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა კანტორის მეამწე ი. პოპოვი, ამიერკავკასიის გზის დაცვის განყოფილების ინსტრუქტორები ლ. კორეშკოვი, ა. ბერეზუცკი და სხვ.

ბეჯითი სწავლა რკინიგზელებს მუშაობაში ხელს არ უშლის. ბევრი მათგანი მოწინავეა. თბილისის საელმავლო დეპოს მძიმეწონოსან მემანქანეს გ. ნანიტაშვილს სისტემატურად დაჰყავს მძიმე წონის მატარებლები, გადაჭარბებით ასრულებს გადაზიდვის გეგმებს. ელმავალი, რომელზეც იგი მუშაობს, კარგ მდგომარეობაშია. მუშაობის მთელ პერიოდში გ. ნანიტაშვილს წუნის არც ერთი შემთხვევა არა ჰქონია. კარგად მუშაობენ აგრეთვე თბილისის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა კანტორის საუკეთესო მეამწე ი. პოპოვი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდა მემანქანე გ. კასრაძე, სადგურ ნავთლუღის ზეინკალი-მეავტომატე ვ. აგეკიანი და სხვები, რომლებიც სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

თბილისში რესპუბლიკური ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი საშუალო სკოლის დაარსება დიდი და საჭირო სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა. არსებობის მოკლე დროში სკოლამ ცხადყო თავისი მუშაობის დიდი ნაყოფიერება.

ვ. პოპოვი.

კურორტ სულორი ყურადღების ღირსია

სულორის აბანო უძველესი დროიდან არის ცნობილი. კურორტი მდებარეობს ვანის რაიონული ცენტრიდან ცხრა კილომეტრის დაშორებით. აქაური წყლები სამკურნალო თვისებებით წყალტუბოს წყლების ტიპისაა, მათი ბუნებრივი ტემპერატურა 36 გრადუსია.

მთელ რიგ დაავადებათა წინააღმდეგ სულორის აბანო განსაკუთრებულ სამკურნალო ეფექტს იძლევა, კერძოდ ქრონიკული რევმატიზმის, პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადების დროს. დიდია ამ აბანოს გავლენა აგრეთვე გულის ძარღვთა დაავადებაზე. სწორედ ამიტომ აქ დამსვენებელთა შორის ბევრია გულის სისხლძარღვთა ავადმყოფობით და ჰიპერტონიით დაავადებულნი.

კურორტ სულორის აბანოს სამკურნალო ეფექტს აძლიერებს მისი ლამაზი ბუნება. კურორტის ცენტრში გადის ახალციხის მთის კალთებიდან ჩამომდინარე სუფთა მდინარე სულორი.

სულორი ადგილობრივი რაიონული საავადმყოფოს დაქვემდებარების კურორტია. უკანასკნელ წლებში მის კეთილმოსაწყობად სერიოზული სამუშაოები შესრულდა. აშენდა ორი ახალი აბაზანა, გაყვანილ იქნა ელექტროქსელი. მაგრამ კეთილმოწყობის მხრივ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სამწუხაროდ, ამ საქმით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველო რატომღაც დაინტერესებული არ არის.

კურორტ სულორს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

შ. თოდუა,
ვანის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

მშრომელთა სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს

სტალინირის რაიონის ვანათის საავადმყოფოს მედპერსონალი სათანადოდ ვერ ემსახურება ვანათის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს.

აღნიშნულ საავადმყოფოს ჰყავს მხოლოდ ერთი ექიმი, რომელიც ერთდროულად შეთავსებით მუშაობს სოფელ ერედვშიც. ასე რომ იგი ვანათში იმყოფება კვირაში სამ დღეს, დანარჩენ სამ დღეს კი — ერედვში. ასეთ პირობებში მუდმივად ირღვევა ავადმყოფების ნორმალური მოვლა.

აღსანიშნავია, რომ რაიონის ჯანმრთელობის განყოფილება ამ არანორმალურ მდგომარეობას კადრების სიმცირით ხსნის, თუმცა ექიმები ამ სოფლებისათვის ყოველთვის მოინახება.

მ. კასრაძე,
მასწავლებელი.

დავიცვათ ისტორიული ძეგლი ვარძია

ვარძია საქართველოს ღირსშესანიშნავი ეროვნული ძეგლია, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. რვა საუკუნის მანძილზე მტრის შემოსევებმა და ჟამთა სვლამ დააზიანა კლდის ეს შესანიშნავი ქალაქი. მას აღარ შერჩა პირვანდელი მშვენება. ჩამონგრეულია წინა ფასადი, 400-ზე მეტი გამოქვაბული და ქუჩა.

შარშან გასუფთავების შედეგად გამოვლინდა ბევრი ახალი გამოქვაბული, 12 ეკლესია, 27 მარანი და სხვ.

მაგრამ ჯერ კიდევ გასასუფთავებელია 200-ზე მეტი გამოქვაბული, სადაც მოსალოდნელია აღმოჩნდეს კულტურის ძეგლები. ძეგლის მოვლა-პატრონობას კი ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. საჭიროა მოეწყოს ქვაბთა ანსამბლის გასუფთავება, მისი შეკეთება და უსაფრთხოების ღონისძიებათა განხორციელება. ავარიულ მდგომარეობაშია სამრეკლოს მისასვლელი გზები.

საჭიროა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა მიხედონ ვარძიას.

ე. ხარებავა.

როდემდის გაგრძელდება ასე?

თბილისში კავშირის ქუჩაზე ორი დიდი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლია (№ 4). მათ გვერდით, მარჯვენა (უნივერსიტეტის) მხრიდან, შარშან ორი ახალი კორპუსის მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ ისე უთავოდ და დაუფიქრებლად, რომ ამ ახალმა კორპუსებმა ადრინდელი ორი ხუთსართულიანი სახლის მობინადრეებს სამანქანო გზა ჩაუკეტა. ამის გამო მთელი ის ნაცარი, რომელიც ზამთრის სეზონში (ცენტრალური გათბობის შედეგად) დაგროვდა, ეზოში ყრია, ოდნავი ნიავი მას ხან ერთ მხარეზე გადაიტანს, ხან მეორეზე. სიბინძურის გამო კანალიზაციის მილები ხშირად იჭედება. ერთი სიტყვით, მეტად ცუდ მდგომარეობაში ვართ, მზრუნველი კი არა ჩანს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სახლებიდან ერთს ეზოდან ხის აივანი აქვს. ასეთ მდგომარეობაში ვისიმე დაუდევრობით ცეცხლი რომ გაჩნდეს, მოსახლეობას დიდი საფრთხე მოელის.

ყოველივე ამის შესახებ მრავალჯერ მივმართეთ სახლმმართველობას, ორჯონიკიძის რაიონის სანიტარულ ინსპექციას, მილიციას, მაგრამ არაფერი გამოდის.

სავალალო მდგომარეობაშია ის სახლი, სადაც მე ვცხოვრობ. იგი იმ სახლის ნაწილია, რომელიც უნდა აეღოთ. ნაწილი აიღეს და მცხოვრებნი შესაბამისად დააკმაყოფილეს. მე კი ვინაიდან ბინა ვერ გამომინახეს, ავარიულ სახლში ვცხოვრობ და არათუ ბინის მოცემაზე, მის შეკეთებაზეც არავინ ზრუნავს.

როდემდის გაგრძელდება ასე?

ნ. გველესიანი.

ორბელელთა საჭიროებანი

ვენახებსა და ხეხილის ბაღებში ჩაფლული ცაგერის რაიონის სოფელი ორბელი.

ორბელელი მევენახეები ყოველწლიურად ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. სამტრესტის ორბელის მარანი თავისი მცირე მოცულობის გამო ყოველთვის განიცდიდა სივიწროვეს და ვერ იღებდა ჩამბარებლებისაგან აქ მოტანილ მთელ პროდუქციას. ამის გამო აქ სწრაფი ტემპით აგებენ ახალ მარანს, რომელიც მიმდინარე სეზონში პირველად მიიღებს ყურძენს.

გული სიხარულით გევსება, როდესაც ხედავთ მტევნებით დატვირთულ ვაზებს. აქ წელს ყურძნის უხვ მოსავალს მოელიან, რაც ადგილობრივ მევენახეთა მუყაითი მუშაობის შედეგია.

მაგრამ ორბელელი მევენახეები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ აქ ნაკლებად იშოვნით ვენახებში გამოსაყენებელ მანქანებსა და ინვენტარს. იგრძნობა ვაზის შესაწამლი „ტრემასის" სისტემისა და გოგირდის შესაფრქვევი ხელის აპარატების, აგრეთვე სეკატორების, შპალერის მავთულისა და მინერალური სასუქების სიმცირე.

ოთხი წლის წინათ ვაზის მწვანე ოპერაცია „ცის გახსნისათვის" პირველად შემოიტანეს გრძელსახელურიანი მაკრატლები, რომლებიც ფართოდ იქნა გამოყენებული. ამან დიდად შეუმსუბუქა შრომა მევენახეებს, მაღლარებში „ცის გახსნის" სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა მისცა მათ. მას შემდეგ ასეთი სახის მაკრატლები აღარ შემოუტანიათ, მათზე მოთხოვნილება კი დიდია.

კ. გვიშიანი,
აგრონომი.

სამართლიანი მოთხოვნა

საგვიჩიო ეკონომიურად საკმაოდ ძლიერი სოფელია ფოთის რაიონში. იგი ქალადიდის სასოფლო საბჭოში შედის. რაიონის სამი კოლმეურნეობის — ქალადიდის ოქტომბრის, სოციალიზმისა და 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობების ბაზაზე ორი წლის წინათ შეიქმნა ქალადიდის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა. სოფლის მცხოვრებნი სიხარულით შეხვდნენ მეურნეობის შექმნას. ვფიქრობდით, რომ მეურნეობა იზრუნებდა ჩვენი სოფლის კეთილმოწყობისათვის. მაგრამ იმედი არ გაგვიმართლდა.

მეურნეობის შექმნამდე დასახელებულ კოლმეურნეობებს სოფლებში რადიოსა და ტელეფონის ქსელის გასაყვანად გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს შესაბამის სამმართველოებთან. შეადგინეს პროექტები და ხარჯთაღრიცხვები. დაწყებული იყო მუშაობა, მაგრამ საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ეს სამუშაოები შეწყდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რამდენჯერმე თხოვა გამოეყო თანხა ამ სამუშაოებისათვის, მაგრამ თხოვნა თხოვნად დარჩა.

სოფელს არა აქვს აბანო, სამედიცინო პუნქტი, ელექტროგანათება და წისქვილი, ხოლო კინოსურათებს და საღამო-წარმოდგენებს აქ შეუფერებელ ბინაში უჩვენებენ, რაც მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ჩვენი სოფელი ქალაქ ფოთს 22 კილომეტრით არის დაშორებული. მოსახლეობა მოითხოვს საგვიჩიო — ფოთის მიმართულებით ავტობუსის მოძრაობის დაწესებას. ფოთის ავტოტრანსპორტის სადგურის ხელმძღვანელობას შეუძლია დააკმაყოფილოს მშრომელთა კანონიერი მოთხოვნილება, და ეს უნდა გააკეთოს.

საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინტერესდეს სოფელ საგვიჩიოს კეთილმოწყობით.

ს. გელაშვილი,
ი. შუბითიძე,
თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტები, სოფლის მკვიდრნი.

ნ. გელაშვილი,
დიასახლისი.

მ. შუბითიძე,
ქალადიდის სასოფლო საბჭოს დეპუტატი, საგვიჩიოს მცხოვრები.

8 ათასი ტონა ქვანახშირი გეგმის ზევით

მეტი ქვანახშირის ამოღებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტყვარჩელქვანახშირის ტრესტში პირველ ადგილზეა ახიბლარის № 4 შახტი. მისმა კოლექტივმა ჯერ კიდევ 9 აგვისტოს შეასრულა ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის 8 თვის სახელმწიფო დავალება. მეშახტეები ღირსეული საჩუქრით შეხვდნენ საბჭოთა მეშახტეების ტრადიციულ დღესასწაულს — 8 თვის გეგმის ზევით დედა-სამშობლოს 8 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი მისცეს. ეს საამაყო საწარმოო მაჩვენებელია.

ასეთი შესანიშნავი წარმატება იმის შედეგია, რომ შახტში გაბედულად ნერგავენ შრომის მოწინავე მეთოდებს. ახიბლარელმა მეშახტეებმა საქართველოში პირველებმა წარმატებით განახორციელეს შრომის კომპლექსური ორგანიზაცია ყველა საწმენდ და მოსამზადებელ სანგრევში. საწარმოს ყველა მუშა დაეუფლა მომიჯნავე პროფესიებს და, ნიკოლოზ მამაის თაოსნობის მიხედვით, გადაჭარბებით ასრულებს ყოველი ცვლის ნორმას. იმ კომპლექსური ბრიგადის მეშახტეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ნოვატორი სამთოელები პ. პონომარიოვი, გ. ჩიხლაძე, შ. ამიჩბა, ფ. ციცილინი, 3-5 ტონა ქვანახშირს იღებენ ცვლის ნორმის ზევით.

შახტის კოლექტივში ფართო გამოხმაურება ჰპოვა აგრეთვე დონეცელი მეშახტის ალექსანდრე კოლჩიკის პატრიოტულმა ინიციატივამ — ყოველი ამოღებული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირდეს 1 მანეთით. ამ მხრივ ჩვენც კარგ მაჩვენებლებს მივაღწიეთ. მიმდინარე წლის 7 თვეში ამოღებული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შევამცირეთ 1 მან. და 90 კაპიკით. ამასთან ერთად გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

კარგი შედეგი მოგვცა მიწისქვეშა საექსპლოატაციო უბნების პროგრესული მეთოდით — ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადაყვანამ. ამ მხრივ აღსანიშნავია მეორე უბანი, რომელსაც ახალგაზრდა გამოცდილი სამთოელი ბორის ხურცილავა უდგას სათავეში. ამ უბანმა აგვისტოში ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 21 ციკლისა 28 ციკლის აღება მოასწრო. უბანში ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება 100 ტონა ქვანახშირით გაიზარდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით სექტემბრის პირველი დღეებიდან ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადავიყვანთ აგრეთვე მესამე საექსპლოატაციო უბანს.

ჩვენი შახტის კოლექტივს მტკიცე საწარმოო მეგობრობა აკავშირებს ტულის ოლქის ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის" № 11 შახტ „გრანკოვსკაიასა" და ტყიბულქვანახშირის ტრესტის სერგო ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივებთან. ამას წინათ სტუმრად პირველად ვეწვიეთ ჩვენს ტულელ მეგობრებს. გავეცანით მათს გამოცდილებას, გულდასმით გავუზიარეთ მუშაობის საკუთარი პროგრესული მეთოდები. მიმდინარე წლის 7 თვის შედეგების მიხედვით გამარჯვებული ჩვენ გამოვედით.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტი მაღალი წარმადობისა და კულტურის საწარმოა. აქ ღია კარიერზე, მიწისქვეშა უბნების ლავებსა და სანგრევებში მუშაობენ სრულყოფილი მანქანები და მექანიზმები — ბულდოზერები და ექსკავატორები, მომხვეტი ტრანსპორტიორები და ელექტრომავლები, ჯალამბრები და ელექტრობურღები. შრომის კომპლექსურმა ორგანიზაციამ და სამთო სამუშაოთა ფართო მექანიზაციამ საწარმოს კოლექტივს საშუალება მისცა მეშახტეთა რაოდენობის გაუდიდებლად ერთიორად და უფრო მეტად გაეზარდა შახტის საპროექტო სიმძლავრე.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის კოლექტივმა თავისი არსებობის 9 წლის მანძილზე 150 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი მისცა სამშობლოს.

ა. ჟირაქაძე,
ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ახიბლარის № 4 შახტის უფროსი.



ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი და კულტურულ-საგანმანათლებლო და ნიშნულების შენობა აშენდა ამ ბოლო ხანებში ტყვარჩელის მეშახტეთა დაბა აკარმარაში.

სურათზე: დაბა აკარმარას საერთო ხედი. წინა პლანზე — სტალინის სახელობის შახტის კლუბი.

ფოტო ნ. ჯომიდავასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე

ჟენევა, 2 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ. მ. პანჩინი). ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, დღეს გაიმართა ორი პლენარული სხდომა — დილის და საღამოსი.

დილის სხდომაზე, რომელიც კანადელი მეცნიერის უ. ლიუისის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, მოისმინეს მოხსენებანი თემაზე „ატომის ელექტროსადგურთა მუშაობის გამოცდილება". მოხსენებანი გააკეთეს ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მეცნიერებმა.

ინგლისელმა მეცნიერმა ტ. მერშენმა ილაპარაკა კოლდერ-ჰოლის ატომის დანადგარის მუშაობაზე. ამ დანადგარის დანიშნულებაა პლუტონიუმის გამოშვება სამხედრო მიზნებისათვის და ამავე დროს ელექტროენერგიის მოცემა. მომხსენებლის სიტყვით, კოლდერ-ჰოლის დანადგარი საიმედოდ მოქმედებს და ინგლისის ასეთი ტიპის მომავალი დანადგარების პროტოტიპი იქნება.

ფრანგმა მეცნიერმა მ. რუვილმა თავის მოხსენებაში მოიყვანა მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს საფრანგეთში მოქმედი რეაქტორი გ-1, რომელიც ინგლისის კოლდერ-ჰოლის რეაქტორის მსგავსია.

ამერიკელი მეცნიერების ლ. როდისის, კ. ჰუდმანისა და უ. ზინის მოხსენებებში განხილულია საცდელი დანიშნულების რამდენიმე რეაქტორის მუშაობა, მათ შორის მდუღარე წყლიანი, ორგანული სითბოს შემცველი და თხევადი ნატრიუმიანი რეაქტორებისა.

ამერიკელების შემდეგი მოხსენება გააკეთა ჯ. სიმპსონმა — „შიპინგპორტის ატომის ელექტროსადგურის შესახებ", რომელიც ამუშავდა 1957 წლის დეკემბერში. რეაქტორი ამ სადგურზე ითვლება საექსპერიმენტო დანადგარად.

დილის სხდომის დასასრულს გაიმართა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მოხსენება ატომის ენერგიით მოქმედი პირველი სამრეწველო ელექტროსადგურის მუშაობის გამოცდილების შესახებ საბჭოთა კავშირში. ეს სადგური ამუშავდა 1954 წლის 27 ივნისს. მოხსენება გააკეთა სადგურის ერთ-ერთმა ავტორმა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. კ. კრასინმა. კონფერენციის მონაწილენი უკვე იცნობენ პირველი საბჭოთა ატომის ელექტროსადგურის მოწყობილობასა და მოქმედების პრინციპებს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა პირველი საერთაშორისო კონფერენციის მასალების მიხედვით, რომელიც 1955 წელს გაიმართა. მიუხედავად ამისა მათ დიდი ინტერესით მოისმინეს საბჭოთა მეცნიერის მოხსენება, რადგან მასში ჩამოყალიბებულია საბჭოთა ატომის ელექტროსადგურის ექსპლოატაციის ოთხი წლის მანძილზე სადგურის შეუფერხებელ მუშაობაზე დაკვირვების შედეგები და ამავე დროს მოცემულია ანალიზი სადგურში განხორციელებული მთელი რიგი ექსპერიმენტებისა, რომლებიც საჭიროა სსრ კავშირში ატომის ენერგიაზე მომუშავე უფრო მძლავრი და უფრო ეკონომიური ელექტროსადგურების მშენებლობისათვის.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით დიდი საიმედობა გვიჩვენეს სითბოს გამომყოფმა ელემენტებმა, რომლებიც გამოყენებულია ამ სადგურში. ამრიგად, განაცხადა ა. კ. კრასინმა თავისი მოხსენების დასასრულს, პირველი ატომის ელექტროსადგურის მუშაობის ოთხი წლის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ რეაქტორის მიღებული ტიპი მუშაობს საიმედოდ, მარტივი სამართავია და უზრუნველყოფს სადგურის პერსონალისა და ახლომახლო მოსახლეობის უსაფრთხოებას.

კონფერენციის დღის სხდომა გაიმართა ინდოელი მეცნიერის ჰ. ბაბას თავმჯდომარეობით. ეს სხდომა მიეძღვნა კონტროლსდაქვემდებარებული ატომგულის სინთეზის განხორციელების პრობლემებს. ძირითადი მოხსენებანი ამ თემაზე გააკეთეს შვეციის, ინგლისის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა. საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მოხსენება, რომელიც აკადემიკოსმა ლ. არციმოვიჩმა მომზადა, კონფერენციაზე წარმოადგინა საბჭოთა მეცნიერმა დობროხოტოვმა. მოხსენებას ეწოდება „სამართავი თერმოატომგულის რეაქციების კვლევა სსრ კავშირში".

აკადემიკოს ლ. არციმოვიჩის წინადადებაა კვლევა სამართავი თერმოატომგულის რეაქციების დარგში გაერთიანდეს ინტერნაციონალური მასშტაბით.

თერმოატომგულის სინთეზის პრობლემა, ნათქვამია მოხსენებაში, მოითხოვს ინტელექტუალურ ღონისძიებათა მაქსიმალურ კონცენტრაციას და მეტად მნიშვნელოვან მატერიალურ საშუალებათა და რთული ტექნიკის მობილიზაციას. იგი თითქოს სპეციალურად გაჩენილია იმისათვის, რომ გახდეს საგანი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა და ინჟინერთა მჭიდრო თანამშრომლობისა, რომლებიც მუშაობენ შეთანხმებული საერთო პროგრამით და განუწყვეტლივ უზიარებენ ერთმანეთს თავიანთი გაანგარიშებებისა და ცდების შედეგებს.

იძლევა რა თერმოატომგულის კვლევის დარგში არსებული მდგომარეობის ზოგად შეფასებას, აკადემიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც ერთ ცნობილ იდეას ჯერ არ მოუპოვებია გადამწყვეტი უპირატესობა სხვა იდეების წინაშე და არავის არ შეუძლია ამტკიცოს, რომ ესა თუ ის გზა უზრუნველყოფს წარმატებას. ცალკეულ კვლევათა შედეგებმა ჯერჯერობით ძალიან ცოტათი მიგვაახლოვა საბოლოო მიზანს, აცხადებს ლ. არციმოვიჩი.

მას მიაჩნია აგრეთვე, რომ სინთეზის რეაქციის მართვის პრობლემის გადაჭრა უნდა გამოიხატებოდეს პლაზმის მაგნიტური თერმოიზოლაციის სწორი არჩევით. მეცნიერი აღნიშნავს, რომ პრინციპულად შესაძლებელია რეაქტორის შექმნა დეიტერიუმსა და ტრიტიუმზე, რომელიც თვითონ აღაწარმოებდა ტრიტიუმს, რომელსაც იგი ხარჯავს. აკადემიკოსი ლ. არციმოვიჩი დადებითად უპასუხებს კითხვაზე თერმოატომგულის ენერგიის ელექტრულ ენერგიად პირდაპირი გარდაქმნის შესაძლებლობის შესახებ. ასეთი გარდაქმნის ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ მნიშვნელოვნად მცირდება შეუქცევი თბოდანაკარგები და უმჯობესდება თერმოატომგულის დანადგარის თბორეჟიმი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომის ენერგიის ინსტიტუტში განხორციელებულია ექსპერიმენტები მცირე ხანგრძლივობის თერმოატომგულის იმპულსურ პროცესებზე, რის შედეგად მიღწეულია ტემპერატურა, რომელიც 4 მილიონ გრადუსს აღემატება.

ელექტროდინამიკური ზარბაზნის ტიპის მოწყობილობის საშუალებით შესაძლო გახდა პლაზმის მოძრაობის სიჩქარის აყვანა ხუთას კილომეტრამდე წამში. ეს არის ერთ-ერთი ახალი მეთოდი პლაზმის შენადედთა მიღებისა, რომლებიც აუცილებელია თერმოატომგულის რეაქციებისათვის. ცდების პრაქტიკული შედეგი შეიძლება გახდეს თერმოატომგულის დანადგართა მაგნიტურ საჭერ ჩიხებში სველი პლაზმის შეშხაპუნების მეთოდის შემუშავება.

მიმდინარე წლის ზაფხულში, ამბობს მეცნიერი, ატომის ენერგიის ინსტიტუტში დამთავრდა აგება დიდი საექსპერიმენტო დანადგარისა მაგნიტური საცობებით, რომლებიც დეიტერიუმის ნაწილაკებს კეტავენ ვაკუუმის კამერაში.

აკადემიკოს ლ. არციმოვიჩის აზრით, არის უფრო სრულყოფილი მაგნიტური საჭერი ჩიხების შექმნის ორი ახალი შესაძლებლობა. ეს არის ტოროიდული კამერები რგოლის სახით და კამერები გოფრირებული მაგნიტური არეებით.

დამთავრდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალი

ტაშკენტი, 2 სექტემბერი. (საქდესი). დღეს აქ საზეიმო ვითარებაში დაიხურა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალი.

კინოხელოვნების მიღწევების საერთაშორისო დათვალიერების მონაწილე ქვეყნების დელეგაციათა მეთაურებმა დღისით ხელი მოაწერეს კომუნიკეს ტექსტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალმა არა მარტო შესაძლებელი გახადა ორი კონტინენტის კინოხელოვნებას მიღწევების გაცნობა, არამედ აგრეთვე ხელი შეუწყო შემოქმედებითი გამოცდილების ფართოგაზიარებას, მეგობრული ურთიერთობისა და საქმიანი კონტაქტების დამყარებას.

დღეს საღამოს ლენინის სახელობის მოედანზე გაიმართა ფესტივალის მუშაობის დამთავრებისადმი მიძღვნილი ზეიმი. ფესტივალის მოწყობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რ. გ. გულამოვმა თავის სიტყვაში შეაჯამა დათვალიერების შედეგები.

თოთხმეტ დღეში, ამბობს იგი, გასინჯულია ბირმის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, განის, ინდოეთის რესპუბლიკის, ინდონეზიის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, მაროკოს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, პაკისტანის, სუდანის, ტაილანდის, ცეილონის, იაპონიის, აგრეთვე შუა აზიის, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და ყაზახეთის დაახლოებით სამოცი დოკუმენტალური და მხატვრული კინოსურათი.

კინოფესტივალი აზიისა და აფრიკის ხალხთა კულტურული ცხოვრების შესანიშნავი მოვლენა იყო.

უზბეკეთის მთავრობამ საღამოს დიდი დარბაზობა გამართა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალის დამთავრების გამო.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალის მონაწილეთა კომუნიკე

აზიისა და აფრიკის 22 ქვეყნის წარმომადგენელნი, რომელნიც შეიკრიბნენ კინოფესტივალზე საბჭოთა უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში, კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ფესტივალი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აზიისა და აფრიკის კონტინენტების ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში და ჩაიარა გამოცდილების შემოქმედებითი გაზიარებისა და კულტურული თანამშრომლობის ნიშნით, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ნიშნით.

კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აზიისა და აფრიკის ხალხთა მზარდი ბრძოლის პირობებში კინოფესტივალმა ცხადყო, რომ ამ ქვეყნების კინემატოგრაფიის მოღვაწეები გულწრფელად ესწრაფვიან ფართო კულტურულ ურთიერთობასა და მეგობრულ თანამშრომლობას, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული კინოხელოვნების შემდგომ განვითარებას.

ტაშკენტის ფესტივალის წარმატებით დამთავრებამ კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაადასტურა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა მეგობრობა, რომელსაც მრავალი საუკუნის ტრადიცია აქვს და სულ უფრო მტკიცდება ჩვენს დროში.

მხურვალედ უჭერენ რა მხარს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ფესტივალების სისტემატურად მოწყობის წინადადებას, რომელიც მიღებული იქნა ჯერ კიდევ 1957 წელს პეკინში, ხელმძღვანელობენ რა მეგობრობის გრძნობით და მისწრაფებით ფართო ურთიერთ თანამშრომლობისადმი კინოს დარგში, კინოფესტივალის მონაწილენი მიზანშეწონილად თვლიან, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალი გამოცხადდეს ტრადიციულად და მოეწყოს რეგულარულად;

გამოთქვამენ ერთსულოვან სურვილს, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მორიგი კინოფესტივალი მოეწყოს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ან ინდოეთის რესპუბლიკაში;

იმისათვის, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოხელოვნების მოღვაწეები უფრო ფართოდ ჩაებან მორიგი ფესტივალის მომზადებაში, საჭიროდ მიაჩნიათ ფესტივალის მოწყობას წინ შეიქმნას მოსამზადებელი კომიტეტი, რომელშიც შევლენ კინოფესტივალის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლები;

გამოთქვამენ გულწრფელ სურვილს აზიისა და აფრიკის ქვეყნებს შორის მოეწყოს ურთიერთინფორმირება კინოხელოვნების საკითხებზე, რათა საერთო ღონისძიებებით შეუწყონ ხელი თვითეული ქვეყნის კინემატოგრაფიის შემდგომ პროგრესს;

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინემატოგრაფიის მოღვაწეთა შემდგომ შემოქმედებითსა და საქმიან თანამშრომლობას, მიზანშეწონილად მიაჩნიათ უფრო ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში მხატვრული, დოკუმენტალური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების გაცვლა, აგრეთვე კინოფილმების ერთად დადგმა, ამასთან იხელმძღვანელონ პატივისცემის პრინციპებითა და ურთიერთ ინტერესებით.

ითვალისწინებენ რა აზიის ქვეყნების კინოფილმების პეკინის კვირეულის და აზიისა და აფრიკის ქვეყნების ტაშკენტის კინოფესტივალის დადებით გამოცდილებას, კინოფესტივალის მონაწილენი ბანდუნგის კონფერენციის მიერ გამოცხადებულ პრინციპების მიხედვით მოუწოდებენ კინოხელოვნების მოღვაწეებს მხარი დაუჭირონ ამ წამოწყებას როგორც ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ფორმას და იბრძოლონ იმისათვის, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინემატოგრაფიის მუშაკებმა უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეში.

კინოფესტივალის მონაწილენი დიდ მადლობას უხდიან სსრ კავშირის მთავრობას, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მათ საბჭოთა კავშირში მოეწყოთ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალი და მხურვალე მადლობას უძღვნიან უზბეკეთის სსრ მთავრობასა და უზბეკ ხალხს იმ თბილი მიღებისათვის, გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მათ ფესტივალის მონაწილეების მიმართ გამოიჩინეს.

კომუნიკეს ხელს აწერენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალის მონაწილე დელეგაციათა მეთაურები.

ტაშკენტი, 2 სექტემბერი. (საქდესი).

თბილისი. შადრევანი ვაკის ახალ პარკში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

[illegible]

ქარელი. (საქ. კორ.). დაბა აგარაში, შაქრის კომბინატის მახლობლად მოეწყო ხელოვნური გამდინარე ტბა, რომელსაც ორი ჰექტარი ფართობი უჭირავს. ტბა წყალს იღებს მდინარე მტკვრიდან.

ტბის გარშემო გაშენებულია ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეები, მცურავთათვის მოწყობილია სახტომი კოშკი.

მუშაობის დამთავრების შემდეგ და უქმე დღეებში ტბაზე სეირნობითა და ცურვით თავს ირთობენ წარმოების მუშამოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები.

თევზის მოშენების მიზნით ტბაში ჩაუშვეს 50 ათასი ლიფსიტა.

სპორტის ამბები

ნახევარფინალების წინ

5 სექტემბრიდან დაიწყება მიმდინარე წლის სასპორტო სეზონის ერთ-ერთი საინტერესო შეჯიბრება — სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები ჭადრაკში ქალთა და ვაჟთათვის.

ქალთა ნახევარფინალური ასპარეზობები გაიმართება ბათუმში, პოლტავაში, კიშინიოვსა და ნოვოსიბირსკში. ნახევარფინალებში გამარჯვებული ოთხოთხი მოჭადრაკიდან შედგება ფინალური ჯგუფი. სსრ კავშირის 1958 წლის პირველობის გათამაშების დასკვნითი შეჯიბრება ჭადრაკში ქალთა შორის მოეწყობა ხარკოვში ნოემბერსა და დეკემბერში.

როგორც ცნობილია, ნახევარფინალურ შეჯიბრებაში საქართველოდან მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ტოგონიძემ, გაფრინდაშვილმა, კაკაბაძემ და ჩაიკოვსკაიამ.

ბათუმის ნახევარფინალში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებთან — გაფრინდაშვილთან და ჩაიკოვსკაიასთან ერთად ფინალში გასვლისათვის იბრძოლებენ ვოიცეკი, ტიხომიროვა, ვიტკოვსკაია, ლაუბერტე და სხვ.

შეჯიბრება ბათუმში 27 სექტემბრამდე გაგრძელდება.

საქართველოს ჩემპიონი ტოგონიძე ფინალში გასვლისათვის ითამაშებს პოლტავაში, კაკაბაძე — კიშინიოვში.

დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის 1959 წლის პირველობის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები ჭადრაკში ვაჟთა შორის. ეს ასპარეზობები გაიმართება მოსკოვში, როსტოვსა და ხარკოვში. თვითეულ ნახევარფინალში პირველ სამ ადგილზე გამოსული მოჭადრაკეებისაგან შეიქმნება ფინალური ჯგუფი. გარდა ამ მოჭადრაკეებისა, ფინალში დაშვებული არიან პორტოროჟის საზონათაშორისო ტურნირის მონაწილე საბჭოთა მოჭადრაკეები. პერსონალურად მოწვეული არიან მსოფლიოს ჩემპიონი ბოტვინიკი, მსოფლიოს ექსჩემპიონი სმისლოვი და კერესი.

ფინალური შეჯიბრება ჭადრაკში სსრ კავშირის პირველობაზე გაიმართება თბილისში.

ნახევარფინალებში საქართველოდან მონაწილეობას მიიღებენ ოსტატები გურგენიძე და შიშოვი, აგრეთვე ოსტატობის კანდიდატი ლომაია. როსტოვის ნახევარფინალში საქართველოდან ითამაშებს გურგენიძე. ამ ჯგუფში არიან სპასკი, ტოლუში, ნეჟმეტდინოვი, კროგიუსი და სხვ.

შიშოვი და ლომაია ფინალში გასვლისათვის იბრძოლებენ ხარკოვის ნახევარფინალში.

სსრ კავშირის პირველობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დღეებში მოეწყო რამდენიმე საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის, ნაწილობრივ შეიცვალა ჩვენი ქვეყნის XX ჩემპიონატის კალენდარი.

დღეიდან გუნდები კვლავ ჩაებმებიან ბრძოლაში. თბილისის დინამოელები მორიგ მატჩებს გამართავენ კიევში, ლენინგრადში და თბილისში 9,16 და 21 სექტემბერს კიევის „დინამოსთან", ლენინგრადის „ზენიტთან" და სტალინოს „შახტიორთან".

თასი ბათუმელებმა მოიპოვეს

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება ფეხბურთში ბათუმის „დინამოსა" და ფოთის გუნდს შორის. შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 1:0. ამრიგად, თასი ბათუმის დინამოელებმა მოიპოვეს.

ხელბურთელთა ასპარეზობა

ოდესაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ხელბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში სპორტის ეს სახეობა შედარებით ახალია, მოკლე ხანში დიდად გაიზარდა თამაშის ტექნიკა.

დასკვნით შეჯიბრებას წინ უძღოდა წინასწარი შეხვედრები. საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდები საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა რიგებში ანუ ფინალში ვერ გავიდნენ.

ვაჟთა გუნდებს შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ოდესის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის გუნდი, ქალთა გუნდებს შორის — ოდესის „ლოკომოტივი".

ჩვენი რესპუბლიკის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა მე-8 და მე-10 ადგილები დაიკავეს.

გაიხსნა V საერთაშორისო ბაზრობა დამასკოში

დამასკო, 2 სექტემბერი. (საქდესის კორ. ი. იანჩენკო). გუშინ საღამოს დამასკოში ოფიციალურად გაიხსნა V საერთაშორისო ბაზრობა. გახსნის ცერემონიას დაესწრნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის მინისტრები, ერაყის რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრები, რომლებიც დამასკოში ჩამოვიდნენ, კონსულთა კორპუსი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი არმიის უმაღლესი ოფიცრები და გენერლები, ადგილობრივი საქმიანი წრეების, საზოგადოებრიობის, პრესის მრავალი წარმომადგენელი და სხვა პირები — სულ ორი ათასზე მეტი კაცი.

ბაზრობა გახსნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა აკრამ ჰაურანიმ. თავის სიტყვაში აკრამ ჰაურანიმ დაგმო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომლის მიზანია არაბთა ქვეყნების გათიშვა და სამხედრო ბლოკების შეკოწიწება. მან აღნიშნა, რომ არაბთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა წარმატებით, რომელიც გამოიხატა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნით. ჰაურანიმ შემდეგ აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონში წარმატებით ხდება იმ სიძნელეების დაძლევა, რომლებიც გამოწვეულია დასავლეთის სახელმწიფოთა ეკონომიური ბლოკადით, შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარების მიერ ლიბანისა და იორდანიის ოკუპაციით, რამაც გამოიწვია საგარეო ვაჭრობის სერიოზული შემცირება, აგრეთვე მოუსავლიანობით.

ჰაურანიმ ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სირიის ეკონომიკის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირ-სირიის შეთანხმებას, რომლის რეალიზაცია ამჟამად წარმატებით ხდება.

დასასრულ ჰაურანი მიესალმა ბაზრობის ყველა მონაწილეს და რწმენა გამოთქვა, რომ ეს ბაზრობა ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

შემდეგ ერაყის რესპუბლიკის მთავრობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ეკონომიკის მინისტრმა იბრაჰიმ კუბამ. მის სიტყვას ყველა დამსწრე გულთბილად შეხვდა.

ბაზრობის ოფიციალური გახსნის შემდეგ ერაყის მინისტრებმა იბრაჰიმ კუბამ და ნაჯი ტალებ აბუ-ფარისმა დაათვალიერეს საბჭოთა პავილიონი. შთაბეჭდილებათა წიგნში იბრაჰიმ კუბამ გამოთქვა აღტაცება საბჭოთა კავშირის მიღწევების გამო და უსურვა საბჭოთა ხალხს შემდგომი წარმატებანი ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა დააზიანეს ჩანკაიშელთა ორი ხომალდი

პეკინი, 2 სექტემბერი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 1 სექტემბერს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა ზღვაში შენიშნეს ჩანკაიშელთა არმიის ამერიკული წარმოების ერთი საგუშაგო ხომალდი „იუნძიხაო", ორი ქვემეხიანი ნავი „ძიანძიხაო" და ერთი სადესანტო ხომალდი „მეიძიხაო", რომლებსაც ჩანკაიშელთა ჯარები გადაჰყავდათ და სამხედრო საჭურველი გადაჰქონდათ მაგუნიდან ძინმინდაოს კუნძულზე. ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვემეხიანი ნავებისა და ტორპედიანი კატარღების რაზმი, მიუხედავად ხუთბალიანი შტორმისა, მიუახლოვდა ჩანკაიშელთა ხომალდებს და გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინა, რის შედეგად ჩანკაიშელთა ერთი ქვემეხიანი ნავი ძლიერ დაზიანდა, ხოლო დაზიანებული საგუშაგო ხომალდი სასწრაფოდ უკან გაბრუნდა და მიიმალა.

გაიხსნა ბიოქიმიკოსთა IV საერთაშორისო კონგრესი

ვენა, 2 სექტემბერი, (საქდესი). გუშინ ვენაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბიოქიმიკოსთა IV საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 53 ქვეყნის 5 ათასამდე მეცნიერი, მათ შორის — 12 ნობელის პრემიის ლაურეატი. საბჭოთა კავშირი წარმოდგენილია მეცნიერების 44 მოღვაწით აკადემიკოსების ა. ი. ოპარინისა და ა. ვ. პალადინის მეთაურობით.

კონგრესი გახსნა ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შერფმა. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს უხუცესმა მეცნიერმა ნობელის პრემიის ლაურეატმა პროფესორმა კორიმ, ავსტრიის ბიოქიმიკოსთა გაერთიანების პრეზიდენტმა პროფესორმა ბრიუკემ, ბიოქიმიკოსთა საერთაშორისო კავშირის პროფესორმა ფლორკენმა (პარიზი), ვენის ბურგომისტრმა იონასმა, ავსტრიის განათლების მინისტრმა დრიმელმა და სხვებმა.

პირველი მეცნიერული მოხსენება „მემკვიდრეობითობის ქიმია" გააკეთა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჩერგეფმა.

საბჭოთა მეცხოველეობის სპეციალისტების დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საქდესი). კულტურის, ტექნიკისა და განათლების დარგში გაცვლის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების შესაბამისად 3-დან 31 აგვისტომდე ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა საბჭოთა მეცხოველეობის სპეციალისტების დელეგაცია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ე. მ. ჩეკმენევის მეთაურობით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის ერთი თვის ყოფნის მანძილზე საბჭოთა კავშირის მეცხოველეთა დელეგაცია ეწვია მერილენდის, ჩრდილოეთ კაროლინის, ჯორჯიის, ტეხასის, აიოვის, ნებრასკის, ოკლაჰომის, ვისკონსინის, ილინოისის შტატებს. ამ შტატებში დელეგაციამ, გარდა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა, დაათვალიერა აგრეთვე მთელი რიგი მეცხოველეობის ფერმები. საბჭოთა სპეციალისტები კმაყოფილებით აღნიშნავენ გულთბილ მიღებას, რაც მათ გაუწიეს შეერთებული შტატების ფერმერებმა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკებმა, რომლებმაც ერთსულოვნად განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების დელეგაციების დაწყებული გაცვლა მხოლოდ სარგებლობას მოუტანს ორივე ქვეყანას და რომ ასეთი გაცვლა სულ უფრო უნდა განვითარდეს მომავალში.

ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი ფერმერი და მეცნიერი, რომელთაც ხვდებოდნენ საბჭოთა დელეგაციის წევრები, აღტაცებას გამოთქვამდნენ საბჭოთა სოფლის მეურნეობის დიდი წარმატების გამო და აცხადებდნენ სურვილს საკუთარი თვალით ნახონ, თუ როგორ შეძლეს საბჭოთა მეცხოველეებმა 2-3 წელიწადში მაღალი მაჩვენებლები მოეპოვებინათ მეცხოველეობის დარგში.

ლიონ ფოიხტვანგერის მიმოწერა ქართველ ლიტერატურათმცოდნესთან

ახალგაზრდა ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ ნოდარ კაკაბაძემ ცნობილი გერმანელი მწერლის ლიონ ფოიხტვანგერისაგან მიიღო წერილი. იგი მადლობას უძღვნის ნ. კაკაბაძეს გაგზავნილი შრომებისათვის „ლიონ ფოიხტვანგერის პორტრეტი", „ლიონ ფოიხტვანგერის რომანი „გოია", „ლიონ ფოიხტვანგერის უკანასკნელი რომანი „ეფთაი და მისი ქალიშვილი". ნ. კაკაბაძის ეს შრომები გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე.

წერილში ლიონ ფოიხტვანგერი ქართველ ლიტერატურათმცოდნეს უზიარებს თავის შემოქმედებით გეგმებს. გამოჩენილი მწერალი, რომელიც ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის შტატში, იუწყება, რომ ამჟამად მუშაობს კაპიტალურ მეცნიერულ შრომაზე ისტორიულ რომანის შესახებ „დემონას სახლი ანუ ისტორიული ნაწარმოების მასშტაბები და საზღვრები". ამ შრომაში, როგორც ლიონ ფოიხტვანგერი აღნიშნავს, იგი ცდილობს უაღრესად სრული პასუხი გასცეს მრავალ მკითხველსა და კრიტიკოსს კითხვებზე, რომლებიც ეხება ისტორიულ თემებზე დაწერილი ლიტერატურის პრობლემებს.

ლიონ ფოიხტვანგერი აგრეთვე იუწყება, რომ განაგრძობს მუშაობას რომან „გოიას" მეორე ნაწილზე, რომლის სათაური იქნება „ცივი მწვერვალები". ამ ნაწარმოებზე მუშაობა შავად უკვე დამთავრებულია,— იწერება მწერალი, — მაგრამ იგი ძალიან დიდი გამოდის და საჭირო იქნება მისი შემცირება. რომანში ავტორი აღწერს დიდი მხატვრის ცხოვრებას მოხუცებულობაში, გადმოგვცემს მის უდიდეს სიძულვილს ომისადმი, მოგვითხრობს ესპანეთიდან მისი გაძევების შესახებ.

ნიჭიერი გერმანელი მწერლისა და ახალგაზრდა ქართველი ლიტერატურათმცოდნის შემოქმედებითი მიმოწერა შედარებით დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო. ნ. კაკაბაძეს, რომელიც ფოიხტვანგერის შემოქმედებას სწავლობს, წამოეჭრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო, კერძოდ, გერმანელი მწერლის შემოქმედებითს გეგმებთან და გადაწყვიტა მიეწერა მისთვის წერილი, რომელშიც გააცნო ქართული კულტურა.

ლიონ ფოიხტვანგერმა პასუხი არ დააყოვნა. იგი იტყობინება, რომ კარგად იცნობს ქართულ ლიტერატურას, წაუკითხავს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი", მოუსმენია მოსკოვში 1937 წელს ყოფნისას ქართული ოპერები.

ლიონ ფოიხტვანგერმა ერთ-ერთ წერილში აღტაცება გამოთქვა იმის გამო, რომ ახალგაზრდა მეცნიერს ღრმად ესმის მის ნაწარმოებთა არსი, აღუთქვა საჭირო დახმარება შემოქმედებით მუშაობაში. მწერალმა ქართველ ლიტერატურათმცოდნეს საჩუქრად გამოუგზავნა თავისი მეფუარული ნაწარმოები „ეშმაკი საფრანგეთში", რომანი „ოპერმანის ოჯახი" და სხვა წიგნები გერმანულ ენაზე. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე დ. სტურუა.

თბილისის „დინამოს" სტადიონი
ბრძოლის ქ. № 2
(ტელ. №№ 3-21-62, 3-26-17)
6 სექტემბერს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
„ბ" კლასის გუნდებს შორის
„მეტალურგი" (სტალინგრადი) —
„ბურევესტნიკი" (თბილისი)
დასაწყისი 5 ს. 30 წ.
ბილეთები გაიყიდება 5 სექტემბერს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

ტელეგადაცემათა პროგრამა

4 სექტემბრისათვის

20.00 — გადაცემა დიასახლისებისათვის, 20.10 — კინოჟურნალი, 20.20 — მუსიკალური ნარკვევი თბილისის კონსერვატორიის წარსულიდან (გადაცემა I), 20.40 — მუსიკალური ფილმი „სიმღერა პირველი სიყვარულისა".

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი
აცხადებს დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის ყველა კურსის სტუდენტთა რეგისტრაციას.
რეგისტრაციისათვის წარმოდგენილ უნდა იქნას ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ და სტუდენტის დოკუმენტები (სტუდბილეთი და ნიშნების წიგნაკი).
შენიშვნა: I კურსის სტუდენტები ადგენენ მხოლოდ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან.
რეგისტრაცია იწარმოებს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში 1958 წ. 30 სექტემბრამდე.
სტუდენტები, რომლებიც არ გაივლიან რეგისტრაციას დაწესებულ ვადებში, გარიცხული იქნებიან ინსტიტუტიდან.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24. საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 06406 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.